სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 17 ივლისი 2003 №131 (1902) | ფასი 50 თეთრი

3:0 კარგია, მაგრამ...

ძახილის ნიშნები ტირანაში იყოს

დინამო	/საქართველო/	3
ტირანა	/აღზანეთი/	0

7 წთ	მელქაძე	N18 დინამო
45 წთ	ანჩაბაძე	N10 დინამო
48 წთ	დარასელია	N 6 დინამო

21:48 89

„დინამომ“ „ტირანას“ მოუგო, თან ისეთი ანგარიშით მოუგო, რომ რა უნდა მოხდეს, საქართველოს ჩემპიონმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე ვერ გააღწიოს. კი, ფეხბურთს ახსოვს ისეთი შემთხვევებიც, როცა გუნდებს 0:3 90 წუთზე ნაკლებ დროშიც მოგებად უქცევიათ, მაგრამ არც „ტირანა“ ჩანს ამის გამხერხებელი და ბოლოს, ყველა უბედურება ჩვენ ხომ არ დაგვემართება.

მოკლედ, „დინამომ“ დიდი ანგარიშით მოიგო და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლაც თითქმის გაინაღდა. აქ თითქოს ძახილის ნიშანიც უნდა დაგვესვა, მაგრამ...

„დინამომ“ ვერ ითამაშა ის ფეხბურთი, რომლითაც შორს წავა. ასეთი თამაშით მესამე საკვალიფიკაციო ეტაპს ვინ ჩივის, გვეეჭვება, ავსტრიულ „გრაცერს“ გადააბიჯოს. და თუ მხოლოდ ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა გაგვახარებს, კეთილი, ერთის მაგიერ, თუ გნებავთ, სამი ძახილის ნიშანი დავსვათ. ისე კი, დაგვეთანხმებით, რომ სერიოზული მიზნების მქონე გუნდი „ტირანას“ დარგუნდს ამდენ ზესახიფათო მომენტს არ უნდა აქმნევინებდეს. კიდევ ბედი ჰქონიათ დინამოელებს, ალბანელ ფეხბურთელებს ფეხის მოქნევა რომ არ სცოდნიათ.

მაგრამ მავანი გვეტყვის, რომ გამარჯვებულს არ ასამართლებენ, რომ ეს „დინამოს“ პირველი ოფიციალური მატჩი იყო ახალ სეზონში და რომ გუნდი თამაშს უთუოდ გამოასწორებს.

მართლებიც იქნებიან, თუმცა ჩვენც მხოლოდ მოყვარეს პირში უძრახეს პრინციპი გვათქმევინებს: შედეგი მოგვეწონა, თამაში კი არა.

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩი

თბილისი. 16 ივლისი. 20 საათი. ეროვნული

დინამო 3:0 ტირანა

1:0 მელქაძე (6), 2:0 ანჩაბაძე (45), 3:0 დარასელია (49)

ფორტუზიმ ჯერ გიიტანა პენალტი (62, მუკარე)

დინამო: ზოიძე (გვარამაძე 82), სიხანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ბურდული, გოგობერიშვილი, კვირკველია, ანჩაბაძე, დარასელია (კარლოსი 87), მელქაძე (კანდელაკი 67), ახალაია
სათადარიგონი: წურუთელი, სახვაძე, იაშვილი, საშხარაძე
მწვრთნელი: იგორ შუშაკი

ტირანა: ეგბო, დაბულა, დედე, პინარი, ლიბი (ბერკოზი 72), სინა, ე. ბულკუ (პაიდარი 46), ჰალილი (პატუში 46), მუკა, ფორტუზი, ჯიფა
სათადარიგონი: ჰიდი, ტაფაი, ს. ბულკუ, აგოლი, პრუნგაჯი
მწვრთნელი: სულეიმან მემა

გაფრთხილება: სიხანეიშვილი (16), დედე (42), ანჩაბაძე (81)

მაკრები: დედე ბილოლში, დედე რეფერენსი, დედე ტოდი, ადრიან მაკორტი (ყველა ირლანდია)

შეფასა დელეგატი: ბარე ტარმაკი (ესტონეთი)

მსაჯთა კოლეგია: ზდრანკო ჯოკიმი (სერბეთი)

ჯარიმა: 19-22; **კუთხური:** 7-2; **კარისკენ დარტყმა:** 7-6; **კარში დარტყმა:** 9-4; **თამაშგარე:** 4-1

გრაცერმა თბილისი შეუკვეთა, დინამომ გრაცი

კოგა ინასარიძე

ესეც ასე — გვაქვს უფლება, თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასულად ჩავთვალოთ და მომავალი ოთხშაბათის საპასუხო მატჩს ტირანაში მშვიდად დაველოდოთ.

3:0 — ეს ისეთი ანგარიშია, რომლის გაბათილებაც უძნელესი საქმეა, მით უფრო იმ გუნდისთვის, რომელსაც „ტირანა“ ჰქვია და ალბანეთიდანაა, ქვეყნიდან, საიდანაც ევროთასების მეორე ეტაპი წარმოუდგენლად შორს ჩანს ხოლმე.

ცარიელი ტრიბუნები და სეზონის პირველი მატჩი — აი, ორი უმნიშვნელოვანესი რისკ-ფაქტორი, რაც მეტოქის დონის განურჩევლად ნებისმიერ გუნდზე მოქმედებს და ისე ვერ თამაშობს, როგორც შეუძლია. „დინამოსაც“ შეუძლია გუშინდელზე გაცილებით უკეთ თამაში, მაგრამ... რაც შეძლო, „ტირანას“ დასაძლევად ისიც საკმარისი გამოდგა და ტაბლოზე გამოჩნდა.

70 900-იან „ეროვნულზე“ გუშინ სულ ექვსი რიგი იყო დაკავებული. სამი ჟურნალისტებით, სამიც — ოფიციალური დელეგაციის წევრებით. 73 ქართველი იყო, ამდენივე ალბანელი, ესტონელი დელეგატი, სერბი კომისარი და ოთხიც ჩრდილოირლანდიელი მსაჯი, თითოოროლა პოლიციელი და მორჩა, სხვა არავინ. უჩვეულო სიჩუმე — პირველი ქართული მატჩი ცარიელი ტრიბუნების წინ. პირველი და ვაი-ქომაგთათვის საჩვენებელი. გუშინდელ მატჩზე დასწრება ბარე მასაც სურდა, ვინც შარშან „ლიბერეცთან“ თამაშისას ტრიბუნიდან ქვა თუ ბოთლი ისროლა, მაგრამ ამჯერად ტელეეკრანთან დარჩა და, თუ მკითხავთ, მისი ადგილიც სწორედ იქ არის. შეეძლო, ქვა თავის ტელევიზორისთვის ესროლა...

ალბანელებმა თამამად დაიწყეს და პირველივე წუთიდან შეუტიეს მასპინძლებს. კარისკენ პირველადაც მათ დაარტყეს და პირველი კუთხურიც ჩააწოდეს. არანაირი ხიფათი. ხიფათი მე-4 წუთზე საპირისპირო კართან შეიქმნა, ანჩაბაძემ კუთხური დარასელიას რომ გაუთამაშა, მის პასს კი ამისულაშვილმა ტერფის შიდა დაუხვედრა — ბურთი შავ ეგბოს ხელებში მიუვიდა.

ორი წუთიც და „დინამოს“ ახალწვეულმა მელქაძემ გამოაჩინა თავი, ბურდულ-ახალაიას გარჯა დაუფასა და საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ისეთი თავური დაჰკრა, აუღებელი რომ ჰქვია.

„დინამომ“ პირველი ნაბიჯი გადადგა. მე-6 წუთზე გატანილ გოლს ფსიქოლოგიური უპირატესობა და თავდაჯერებულობა მოაქვს. კიდევ 10-13 წუთი „დინამოს“ თამაში იყო. დარასელიამ ჯერ შორიდან საჯარიმო დარტყმით დააფრთხო ეგბო, მერე კი კუთხურის ჩაწოდებით. ალბანელთა ნაქები მცველები დაბნეულები იყვნენ და მასპინძელთა შემტევი დუეტის, ახალაია-მელქაძის დევნაში ნელ-ნელა არაქათი ეცლებოდათ. პასიურობდა „ტირანას“ შუა ხაზი, თუმც სტუმართაგან გამოსარჩევმა მუკამ თანაგუნდელები შეაფუცხუნა, თავად კი ბურთი დაიჭირა და ერთი-ორჯერ პარტნიორებს მწვავედაც შეატევინა. თითქოს არ ჩანდა „ტირანას“ ლიდერი და ბომბარდირი ფორტუზი, მაგრამ რამდენჯერ ბურთს მიიღებდა, ქართულ დაცვას იმდენჯერ ანერვიულებდა. სადღაც ტაიმის შუაში „ტირანა“ მოფერიანდა, მუკას გაჩერება არ იქნა და სწორედ მან ზოიძეს ერთხელ ისეთი დაურტყა, გოლის მოლოდინში ალბანელი სტუმრები კინაღამ ლოჟიდან გადმოცვივდნენ — ბურთი კარს ასცდა. ამის მერე ფორტუზი-ჯაფას „კედელი“ იყო. ჯაფა ტექნიკამ დააღალატა, უკეთ დარტყმა შეეძლო.

ამასობაში კი ტაიმის ბოლო წუთი დაიწყო. ბედოვლათ ალბანელ მცველებს მელქაძემ არ აპატია შეცდომა, გონივრული პასი და ანჩაბაძე ეგბოს პირისპირ დარჩა. ბურთთან ურთიერთობაში ანჩაბაძეს ბარე ორი გაეჯიბროს. დინამოელმა ბურთი შორეულ კუთხეში შეაგდო — 2:0. „დინამოს“ გამარჯვება უკვე ეჭვს აღარ იწვევს, საკითხავი ანგარიშია. მთავარია, საპასუხო მატჩის წინ ჩვენებმა გოლი არ მიიღონ.

შესვენებაზე „ტირანას“ მწვრთნელმა მემამ ორი შეცვლა გააკეთა. პასიური საყრდენი ბულკუ და მარცხენა ინსაიდი ჰალილი შეცვალა. მემამ ლიბერო დედე ზემოთ აანაცვლა და ცენტრის გაძლიერება სცადა. კაპიტანმა დედემ დაცვაში არ ივარგა და, როგორც გამოჩნდა, მაინცდამაინც არც შუაში უქნია ღმერთს.

ტაიმის დასაწყისში ისევ ალბანელებმა სცადეს ბურთის გაკონტროლება, მაგრამ მალევე მესამე გოლი მიიღეს. დაბულამ და პინარიმ საკუთარი საჯარიმოდან ბურთის მოგერიება ვერ შეძლეს, ახალაიამ კი სწორედ ისე ითამაშა, რითაც შუშაკს თავს აწონებს — აგრესიულად. დაკარგულ ბურთზე ბოლომდე იბრძოლა, საჯარიმოში შეიგდო, შეჰყვა და დაბულას ფეხმა შეაჩერა. მალკოლმმა ჩასტვინა და სანამ პენალტის ნიშნულზე ფეხი თავად არ დადგა, მისი გადაწყვეტილება გაუგებარი იყო: პენალტი დარასელიამ უნაკლოდ შეასურლა.

„დინამოს“ თავი ქუდში აქვს, თუმც ისევ გოლის მიღების შიში. ერთი გოლიც კი ალბანელებს ამოცანას უიოლებს. სტუმრებს საამისოდ შანსი ჰქონდათ, ფეხბურთში კაცი უკეთესს რას ინატრებ — პენალტი. მსაჯს შეეძლო „დინამოს“ დანდობა, საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთის მიმღები კატუში ისედაც ველარ იყო, როცა ჩვენებმა წააქციეს, მაგრამ მალკოლმმა სხვანაირად განსაჯა და „ტირანას“ პენალტი უბოძა. ფორტუზმა ბურთი გაასწორა, ერთი შეყოვნდა და დაარტყა. ყოჩაღ, ზოიძე! ბურთი მოიგერია კი არა, სულაც მოიხელთა. ალბანელებმა თავში ხელი წაიშინეს, „დინამოს“ მეკარემ კი კონტრშეტევა დაიწყო და ბურდულს ოდნავ იღბალი რომ ჰქონოდა, გაიტანდა. ეგბომაც იყოჩაღა. მეკარემ იყოჩაღა მაშინაც, როცა ამ მომენტიდან ორიოდ წუთში ახალაიას თავური ცხრიანიდან ჩამოხსნა.

რაც მატჩის ბოლო ახლოვდებოდა, „დინამო“ მით მეტს ზრუნავდა თავის მშრალად შენახვაზე. თბილისელებმა ეს შეძლეს, თუმც გოლთან ალბანელები რამდენჯერმე ძალიან ახლოს იყვნენ...

შორს, ძალიან შორს ყოფილან ტირანელები „ფეირ პლეის“ პრინციპისგან: წაქცეული ახალაია, ტკივილისგან ფეხზე რომ ვერ წამოდგა და დახმარებას ითხოვდა; სტუმრებმა, ჩვენების თხოვნის მიუხედავად, ბურთი განზე არ გადაადგეს და შეტევა განაგრძეს. „დინამომ“ ბურთი რომ მოიპოვა, კვირკველიამ უმალ აუტში მოისროლა. ალბანელთა პასუხი რა იყო? შეტევა... ამას, ერთი სიტყვით, უნამუსობა ჰქვია.

მიდი ახლა და დაინდე „ტირანა“.

საპასუხო მატჩი ოთხშაბათსაა, ალბანელებს კი თავისი გუნდის წარმატებისა მაინც სჯერათ. არ გვჯერა ჩვენ და არც მას, ვინც გუშინდელ მატჩზე ავსტრიულმა „გრაცერმა“ მოავლინა: „100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მეტოქე „დინამოა“. მე უკვე თბილისში „გრაცერის“ სავარჯიშო მოედანი შევარჩიე და დავიკავე. აქ რომ ჩამოვალთ, „შევარდენზე“ ვივარჯიშებთ. თამაშით კი, კარგი იქნება, თუ „ლოკომოტივზე“ ვითამაშებთ“ — თქვა „გრაცერის“ სპორტულმა დირექტორმა ოლივერ კოლმა.

დროა, „დინამომაც“ შეუკვეთოს ავსტრიის ბილეთები.



ირაკლი ზოიძემ ალბანელებს პენალტიც არ გაატანინა

ბაჩანა ფულანიშვილის ფოტო

მატჩის შემდეგ

„ტირანას“ დამრიგებელმა სულეიმან მემამ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მოსვლა არ ინება და ჟურნალისტებსაც ოდენ „დინამოს“ მთავარსარდალი — ივო შუშაკი შეგვრჩა ხელთ...



ანჩაბაძე ეგბოს ბურთს ბურთზე

— ჯერ უფლება არ გვაქვს, გამარჯვება ვიზეიმოთ — მხოლოდ პირველი ტაიმი ვითამაშეთ. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ „ტირანა“ სერიოზული მეტოქეა, მაგრამ ჩვენ საკუთარი შესაძლებლობები კარგად გამოვიყენეთ. ბოლო წუთებზე მეოთხე გოლი რომ შეგვეგდო, ეს უკვე სერიოზულად გადაწყვეტდა შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობას.

— იმ შედეგს მივაღწიეთ, რაც გვაწყობდა. თუმც წარმომიდგენია, რა ატმოსფეროში მოგვიწევს გასვლაზე თამაში. ჩემს ფეხბურთელებს მადლობას ვუხდი — მთელი მატჩი მათ მაღალი კონცენტრაციით ჩაატარეს. მადლობა თქვენ, ჟურნალისტებსაც — ბევრნი არ იყავით, მაგრამ „დინამოს“ კარგად ქომაგობდით. ვეცდებით, რომ მომდევნო ეტაპზე სტადიონზე მისული ხალხიც გავახაროთ.

— ველოდი, რომ კარგი დონის მეტოქესთან მოგვიწევდა თამაში და ველოდი, რომ მოვიგებდით გაშვებული გოლის გარეშე, მაგრამ მთლად ასეთ კარგ შედეგს, უნდა ვაღიაროთ, არ ველოდი.

— ნაყოფიერად იმუშავა ჩვენმა თავდასხმამ. მელქაძის გოლი ახალაიას კარგმა პასმა დაამშვენა — გოლის გამტანმა კი მწვავედ და საზრიანად იმოქმედა.

— მელქაძეს ორი წელია, მიზეზთა გამო სრულფასოვნად არ დაუსვენია და ეს მისი საუკეთესო თამაში არ იყო, მაგრამ ის მომავალში კიდევ უფრო დაამტკიცებს თავის ნიჭს და პოტენციალს.

— დაცვაში პრობლემები იმიტომ გვექმნებოდა, რომ 1:0 და 2:0 არ გვაკმაყოფილებდა და სულ ვცდილობდით, შეგვეტია. ამის გამო ჩვენს დაცვაში სივრცეები იქმნებოდა. თუმც ხარვეზები უნდა გამოვასწოროთ, რათა დაცვაში თავდაჯერებულად ვითამაშოთ.

— „ტირანამ“ დაგვანახა, რომ ფეხბურთის თამაში იცის. მისი ფეხბურთელები კარგად ასრულებენ გადაცემებს. ალბანეთში ჩასულებს საშინელი ატმოსფერო გველის — ზეწოლა მეტოქისგან და მისი გულშემატკივრებისგან — ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. დაცვაში ჩადგომას არ ვაპირებთ, მითუმეტეს, შეტევისთვის სივრცეები შეგვექმნება. ტირანაშიც ორი გამოკვეთილი ფორვარდით ვითამაშებთ.

დავით თავართქილაძე

მუმუ და ფუფუ

მუჯირი „შტურმთან“ ერთად ვერ იწყებს



გუშინ ავსტრიული მაქსბუნდესლიგა დაიწყო. გრაცის „შტურმის“ თხოვნით ფეხბურთის ფედერაციამ ამ კლუბს პირველი ტურის მატჩი გადაუდო. მიზეზი ავსტრიის ცხრამეტწლამდელთა ნაკრებში გამოძახებული „შტურმის“ ორი ფეხბურთელია.

ასეც რომ არ მომხდარიყო, მაქსბუნდესლიგა მაინც დავით მუჯირის გარეშე დაიწყებდა. ქართველ ნახევარმცველს ტრავმამ მოსამზადებელი ეტაპიც გააცდენინა და დიდი შანსია, ჩემპიონატის სტარტიც გამოატოვებინოს.

გუშინ **დავით მუჯირს** *ავსტრიაში შევხვდებოდით, მაგრამ სასიკეთო ვერაფერი გვითხრა.*

— ვარჯიში ახლახან შევწყვიტე. ნახევარი საათიც ვერ ვირბინე. ფეხი საშინლად ამტკივდა და იძულებული გავხდი, შემესვენა.

— კონკრეტულად რა გჭირს?

— თუ გახსოვს, გაზაფხულზე კუნთი მქონდა გაწყვეტილი. მაშინ ის ტრავმა ბოლომდე არ მოვირჩინე — ექვსი კვირა უნდა დამესვენა გუნდის ინტერესების გამო კი სამ კვირაში თამაში დავიწყე. ფეხმაც გამიშვა და, მეგონა, ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, თავი ახლა შემახსენა. საწვრთნელ შეკრებაზე ამტკივდა და დღემდე მტანჯავს.

— საოპერაციოა?

— არა, ოპერაცია ალბათ არ დამჭირდება. ახლა ცალკე მწვრთნელი მავარჯიშებს, ყოველდღე ექიმებთან დავდივარ. როგორც მითხრეს, ორ კვირაში სირბილს შეეძლებ.

— მხოლოდ სირბილს?

— ჰო, აბა, ბურთით რა ხანია, არ მივარჯიშია.

— ესე იგი, მოსამზადებელი ეტაპი მთლიანად გაგიცდა...

— ასე გამოდის. გადაბმულად სულ სამი კვირა თუ მექნება ნავარჯიშები. ამ ბოლო ხანს საერთოდ უქმად ვარ.

— ანუ ჩემპიონატს ვერ დაიწყებ...

— აგვისტოს ბოლომდე ჩემი თამაში გამორიცხულია. გამოჯანმრთელებას, აღდგენით პერიოდს თავისი დრო უნდა. სიჩქარით ვერაფერი მოვიგე, ამიტომ ახლა მთავარია, ტრავმა ბოლომდე მოვირჩინო.

— ახალ სეზონს ახალი მწვრთნელი ჟილბერ გრესი დაგაწყებინებთ...

— მასთან არ მისაუბრია. ხეირიანად ვერც ვივარჯიშე და ჩემი შესაძლებლობები არც იცის. ჯერ არ მიცნობს, მაგრამ, იმედი მაქვს, თამაშს რომ დავიწყებ, მის ნდობასაც დავიმსახურებ.

— რას გეგმავს „შტურმი“ ჩემპიონატში?

— რაც შეიძლება მაღალ ადგილზე უნდა გავიდეთ. „აუსტრიას“ ისეთი შემადგენლობა ჰყავს და პირობებიც ისეთი აქვს, რომ, ჩემი აზრით, ჩემპიონი უპრობლემოდ გახდება. ჩვენ კი ალბათ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეორე ადგილისთვის ვიბრძოლებთ.

ძახა შალამბერიძე

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. I ტური

გრაცერი	1:0 ადმირა
კერნტენი	2:1 აუსტრია
რაპიდი	4:2 ჰაშინგი
ბრეგენცი	— ზალცბურგი

დღეს გაიმართება

შვეიცარია

I ტური

ბაზელი	2:1 ციურიხი
გრასჰოპერი	0:1 ლსამანი
სერვეტი	3:1 ვილი
სენტ გალენი	1:4 იანგ ბოისი
თუნი	1:1 აარაუ

გერმანია

ლიგის თასის პირველი ეტაპი

დორტმუნდი	2:1 ბოხუმი

ფინეთი

გადადებული მატჩი

ჰაკა	5:0 ალიანსი

ამხანაგური მატჩები

მარსელი (საფრანგეთი)	0:0 სტანდარდი (ბელგია)
კიოლნი (გერმანია)	1:3 ლივერპული (ინგლისი)

2003 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

ლიხტენშტაინი 0:5 პორტუგალია	ნორვეგია 0:1 იტალია
ინგლისი 1:2 ავსტრია	საფრანგეთი 3:3 ჩეხეთი

ჩემპიონთა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ბატე (ბელარუსი)	1:0 ბოჰემიანსი (ირლანდია)
პიუნიკი (სომხეთი)	1:0 რეიკიავიკი (ისლანდია)
სლიმა (მალტა)	2:0 სკონტო (ლატვია)
ომონია (კვიპროსი)	0:0 ირტიში (ყაზახეთი)
შერიფი (მოლდოვა)	1:0 ფლორა (ესტონეთი)
ვარდარი (მაკედონია)	3:0 ბარი თაუნი (უელსი)
გრევენმახერი (ლუქსემბურგი)	0:0 ლეოტარი (ბოსნია)
ტორსპავნი (ფარერები)	0:1 კაუნასი (ლიტვა)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)	0:0 ჰიკ (ფინეთი)

თურქებმა თავი გაიგებინეს

ოთხ გურჯს გამოვაკლოთ სამი, დარჩა დიდავა

თურქულმა „ქოჯაელისფორმა“ ერთი ქართველი შეინარჩუნა. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გივი დიდავა მომავალ სეზონსაც იზმითურ გუნდში გაატარებს. ამგვარად, ქოჯაელური ქართული კვარტეტი დაიშალა. თურქეთის მეორე ლიგაში თამაში არც გივი დიდავას ხიბლავდა, მაგრამ იმედაძე-ქემოკლიძე-ჯანაშიასგან განსხვავებით, მისი საქმე უფრო რთულად იყო. ამ სამეულს „ქოჯაელისფორში“ განათხოვრების ვადა, შესაბამისად, კონტრაქტიც ამოწურა და კლუბს მშვიდობიანად დაშორდა, დიდავას კი იზმითელებთან კიდევ ორწლიანი შეთანხმება აკავშირებს.

თურქებმაც ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, გივის არსად გავუშვებთო. სხვა რა გზა იყო, შვებულებადასრულებული დიდავა თურქეთში დაბრუნდა და ახლა „ქოჯაელისფორთან“ ერთად ახალი სეზონისთვის ემზადება.

გუშინ **გივი დიდავას** *თურქეთში შევხვდებოდით...*

— თურქები წინა სეზონის დასრულებისთანავე ამბობდნენ, ქართველებს ვერ შეველევითო, მაგრამ „ქოჯაელს“ მხოლოდ შენ შერჩი...

— ასე გამოვიდა. მე კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებს და იძულებული გავხდი, ისევ აქ მეთამაშა. იმედაძე და ქემოკლიძე კი თავისუფლები არიან. „ქოჯაელისფორს“ მათი დატოვებაც უნდოდა, მაგრამ ბიჭებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს.

— თურქეთის მეორე ლიგაში თამაში შენთვის დიდი ვერაფერი ხეირი იქნება...

— უნდა შევეგუო. თავი გაიგიჟეს, ამ სეზონში სუპერლიგაში უნდა დავბრუნდეთ და ძალიან გვჭირდებიო, თან კონტრაქტს რა ვუყო?!

— იქნებ შეთანხმებისთვის მიგეღწია?

— აზრი არ ჰქონდა. ერთ სეზონს აქ ვითამაშებ და მერე ვნახოთ.

— რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს „ქოჯაელისფორთან“?

— 2+1 სისტემით გავაფორმე ამ წლის დასაწყისში.

— უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობ?

— რამდენიმე დღეა, თურქეთში ჩამოვედი და გუნდსაც შევუერთდი. მარტო კი გამიჭირდება, მაგრამ რას ვიზამ. მალე შეკრებაზე წავალთ, მერე ჩემპიონატიც დაიწყება.

ძახა შალამბერიძე

მიხეილ აშვეთიას გოლი შეერგო

ამ გოლმა მიხეილ აშვეთია ექიმებთან გააგზავნა

მიხეილ აშვეთიას ლოკომოტივური დებიუტის შესახებ გუშინდელი „სარბიელიდან“ შეიტყობდით. ისიც გეცოდინებათ, ქართველი თავდამსხმელი ცსკა-ს კარში გატანილი გოლის შემდეგ შესაცვლელი რომ შეიქნა — მეკარესთან პირისპირ გასულ აშვეთიას კოჭი გადაუბრუნდა.

გუშინ მიხეილ აშვეთია ექიმებს გაესინჯა და დამაიმედებელი სიტყვებიც მოისმინა — საშიში არაფერია, რამდენიმე დღეში ვარჯიშს სრული დატვირთვით შეძლებო. მართალია, ჩვენებურს კოჭი ჯერაც გასიებული აქვს, მაგრამ დღეიდან მას ძუნძულის ნება დართეს. ასე იქნება ხვალაც, მერე კი აშვეთია ჩვეულად, გუნდთან ერთად გააგრძელებს წვრთნას.

აშვეთიას რკინიგზული ცხოვრების იღბლიანი დასაწყისი კარგია, მაგრამ საწყენი მეორე ლოკომოტიველის, მალხაზ ასათიანის ბედია. ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის მოსკოვური კარიერა შესაძლოა, „ლოკომოტივში“ ესპანური „სოსიედადიდან“ გადაბარგებულმა დმიტრი ხოხლოვმა „შეარყიოს“. რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში, ცსკა-თან მატჩში, ასათიანი ოდენ სათადარიგოობას დააჯერეს.

ძახა შალამბერიძე

ონიანი თავს აუვს აწოლებს

გერმანულ რუიტში შეკრებაზე მყოფმა „ლოკომოტივმა“ ფეხბურთელი მოისაკლისა. რკინიგზელთა მარცხენაფლანგელი როინ ონიანი საღდეისოდ მეორე ბუნდესლიგის „აუეში“ ვარჯიშობს და ამ კლუბის თავკაცების გადაწყვეტილებას ელის. „აუეში“ ერთი ქართველი, ხვიჩა შუბითიძე უკვე ირიცხება და თუ ონიანმა გასინჯვებზე ივარგა, თბილისში დამბრუნებელი არ არის.

„ლოკომოტივი“ ისევ ელის პერუელ გალიარდოს და განელ ნანას, მაგრამ სადღეისოდ მათგან საიმედოც კი არაფერი ისმის. არადა, ნანა ხელშეკრულების ძალით მომავალი წლის თებერვლამდე რკინიგზელია.

სამგიეროდ, რევაზ არველაძემ საოთავისოდ გადაწყვიტა დავით ქოქიაშვილისა და თენგიზ უგრეხელიძის საკითხი. რკინიგზელებმა დავითი ივლარის წესით 11 ივლისამდე, თენგიზი კი წლის ბოლომდე დაიკანონეს.

„ლოკომოტივი“ მომდევნო საკონტროლო მატჩს ხვალ „როიტლინგენთან“ ითამაშებს. 20 ივლისს დაგეგმილია შეხვედრა „ბაიერნის“ ახალგაზრდულ გუნდთან, ხოლო 22-ში რკინიგზელები შინ დაბრუნდებიან.

მამუკა კვანტალიანი

1:1 ტორპედოს მესამე დობრუჯული

ბულგარულ კურორტ ალბენაში ქუთაისის „ტორპედომ“ გუშინ მესამე საკონტროლო მატჩი ითამაშა. ქუთათურთა მეტოქე ბულგარეთის უმაღლესლიგელი „დობრუჯა“ გახლდათ. მატჩი 1:1 დასრულდა. სოსო ფრუიძის შეგირდები დავით მუშკუდიანის გოლით იგებდნენ, თუმც შეხვედრის მიწურულს მასპინძლებს საეჭვო პენალტით გაუთანაბრებიათ. „ტორპედოს“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: *სტურუა, მახვილაძე, ბვადგიანი, ჭელიძე, გამეზარდაშვილი, კვეტენაძე, ბაბუნაშვილი, პოროშინი, თოდუა, ახალკაცი, მუშკუდიანი.*

19 ივლისს „ტორპედო“ რუმინულ „ფარულს“ დაუპირისპირდება.



გადრე ჯეფლაძის ფოტო

უეფას თასზე მოთამაშე ბოლნისური ჯლუბი 12 დღეა, ლაგოდეხში ღვრის ოფლს და საახალსეზონოდ ემზადება. ცოტაც და, თემურ მახარაძე „სიონის" დაკომპლექტებას დაასრულებს. სწორედ ეს გუნდი დაიწყებს მეთხუთმეტე ჩემპიონატს და ორმატჩიან დუელში სლოვაკურ „პუხოვსაც" დაუპირისპირდება.

ლაგოდეხური შეკრება ხვალ დასრულდება. შინ დაბრუნებული „სიონი" 20 ივლისს ბოლო საკონტროლო მატჩს გორში, „დილასთან" ითამაშებს და მზადებაც ფაქტობრივად მაშინ დასრულდება.

მთელი ამ ხნის მანძილზე თემურ მახარაძეს სათქმელი დაუგროვდებოდა, საინტერვიუოდაც ამიტომ შევეხმიანეთ. „სიონის" თავკაცმაც თავისი ზრახვები გაგვანდო, უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, თუმც ფაქტია, უფრო უკეთეს შეკრებაზე უარს ნამდვილად არ იტყოდა

„სიონის" გაფოტოგებული სტადიონი „პუხოვს" ელის

გადრე ჯეფლაძის ფოტო

შეთამაშება სუფრასაც სჭირდება

თემურ მახარაძემ საბანი გაიწვდინა

— კარგი იქნებოდა, უცხოური შეკრება გაგვევლო და სპარინგ-პარტნიორებიც ევროპული გუნდები გვყოლოდა, მაგრამ ნათქვამია, საბანი სადამდეც გაგწვდებაო... ჩვენც ლაგოდეხში წასვლას დავეგაბულდით. ბედად, აქ კიდევ რამდენიმე გუნდი ემზადება და სათამაშო პრაქტიკაც არ გვაკლია. სავარჯიშო მხოლოდ ერთი მოედანია, თუმც „სიონის" დახმარებას ყველა ცდილობს. აქ მოვარჯიშე გუნდებიც გაგებით ეკიდებიან იმას, რომ უეფაზე სათამაშოდ ვემზადებით და საუკეთესო დროს მოედანი ჩვენს განკარგულებაშია.

სამჯერადი ვარჯიშები გვაქვს, კვებაც ნორმალურია და ბიჭები ძალების აღდგენას ასწრებენ. მოკლედ, ლაგოდეხური შეკრებით მთლად უკმაყოფილო არ ვარ.

— მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „სიონიდან" რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა. მათ ნაცვლად ახლები მიიღეთ. როგორ ფიქრობთ, გუნდის დაკომპლექტება უკვე დამთავრდა?

— წინა სეზონის შემდეგ გუნდიდან მართლაც საჭირო მოთამაშეები წავიდნენ, მართალია, შეუცვლელი არავინაა, მაგრამ აქ სხვა რამაა გასათვალისწინებელი. გუნდი, უკვე მერამდენედ, თავიდან არის შესაკოწიწებელი და შესათამაშებელი. კი, ფაქტობრივად, ყველა სასურველი ფეხბურთელი მოვიწვიეთ და ბიჭების საქმისადმი დამოკიდებულებაც ნორმალურია, მაგრამ თავიდან ჩამოყალიბების პროცესი, არ შეიძლება, გუნდის თამაშზე არ აისახოს.

შეკრებაზე სულ 22 ფეხბურთელი მყავდა. ორიოდ დღის წინ ირემაშვილს მყესები დაეჭიმა და დროებით ჩამოგვშორდა. მართალია, თითო ადგილზე, ფაქტობრივად, ორი თანაბარძალოვანი მოთამაშე მეგულება, მაგრამ გუნდის შეთამაშების პროცესი მაინც მაღელვებს.

ქართველებს ქეიფი კარგად გვეხერხება. ჰოდა, სანადიმოდ უცხოები რომ შეიყრებიან, იქ ქეიფიც არ გამოვა. ცოტა უხეში შედარება კია, მაგრამ ვითარებას ესადაგება. მაინც ვფიქრობ, რომ „პუხოვამდე" ყველაფერი რიგზე იქნება.

— მეტოქეზე რაიმე სიახლე ხომ არ გაგიგიათ?

— მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ „სიონის" კი არა, მთლიანად ქართული ფეხბურთის პრობლემაა. „პუხოვზე" ცნობები მხოლოდ ინტერნეტის დახმარებით შევაგროვეთ. ეს მშრალი მონაცემებია. მეტოქის ფეხბურთელების ფიზიკური და გუნდის სტატისტიკური მონაცემები დიდად ვერაფერში შეგვეშველება. სლოვაკების მიერ ჩატარებული თამაშების ვიდეოფირს ფრანბურგიდან ღღემდე ველით და იმედი მაქვს, მეტოქეზე გარკვეულ წარმოდგენას მაინც შევიქმნით. ისე, როგორც მითხრეს, „პუხოვი" საკმაოდ ძლიერი გუნდია...

— ფიქრობთ, რომ წილისყრისას არ გაგიმართლათ?

— ჩემი ნება რომ ყოფილიყო, მეტოქედ უნგრულ, პოლონურ ან ავსტრიულ გუნდს ვისურვებდი. „პუხოვი" ყოფილი ჩეხოსლოვაკიის განაყოფი ქვეყნის გუნდია და საფეხბურთო ტრადიციებიც მოსდგამთ.

— ადრე თუ გვიან, „სიონი" ევროგათამაშებას დაეთხოვება და შინაურ ჩემპიონატში ითამაშებს. როგორი იქნება ახალი მიზნები?

— ბოლნისურ ფეხბურთში საერთოდ ბევრი სიახლეა. ახალი სტადიონი, განახლებული გუნდი... ქომაგიც წინსვლას მიეჩვია და უკვე მეტ გამარჯვებას მოითხოვს. წინა სეზონთან შედარებით, ახლა „სიონს" უფრო მეტი მობილიზებით და შეუპოვრობით დაუპირისპირდებიან. ჩვენც ზოგიერთ მეტოქესთან ფავორიტებად მიგვიჩნევენ. ეს ყველაფერი ზედმეტი ფსიქოლოგიური ტვირთია. ვნახოთ, ვინ გაუძლებს და ვინ გატყდება. ამიტომაც ამ ეტაპზე მომავალ მიზნებზე არ ვილაპარაკებ.

— საახალსეზონოდ გუნდში რამდენი ფეხბურთელი იქნება?

— უეფას თასზე და ჩემპიონატშიც ოცი ფეხბურთელი ითამაშებს. მთელი სიმძიმე მათ ზურგზე გადაივლის.

— თქვით, ოცი, გუნდში კი 22 შეგირდი გყავთ. ორი ზედმეტია და დათხოვნა მოგიწევთ...

— ეს არის ყველაზე უსიამოვნო პროცესი მწვრთნელისთვის. მე ვხედავ, როგორი მონდომებით ემზადებიან ბიჭები. თავს არ ზოგავენ და ნათქვამს ძირს არ უშვებენ. ამიტომაც ვერიდები შეკრებაზე ფეხბურთელთა გასინჯვას, ვინც მსურდა, ისედაც მოვიწვიე, მაგრამ, ეტყობა, ჩვენში ეს ტრადიცია კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. რა გაეწყობა, გუნდში უძლიერესები დარჩებიან, ვიღაცას კი გული დასწყდება...

ვამუკა ძვანტალიანი

ახლოვდება მე-15 ეროვნული ჩემპიონატი და გუნდებიც გამალებულ სამზადისში არიან. ემზადება ფოთის „კოლხეთიც". კოლხებს სეზონის წინ უცხოური შეკრება ჰქონდათ დაგეგმილი მათთვის კარგად ნაცნობ ბულგარულ ნესებრში, მაგრამ კვლავ უსახსრობამ შეუშალათ ხელი, ვერა და ვერ გამოინახა წასასვლელი ფული. გუნდი ფოთში დარჩა და „ფაზისზე" შეუდგა ვარჯიშს. მერე კი მოულოდნელად ფოთელებს მწვრთნელიც გამოეცვალათ, სოსო ფილია ძველმა კოლხმა, ერთ დროს გუნდში მთავარ მწვრთნელად ნამუშევარმა ჯუნგლი (გია) ტყებუჩავამ შეცვალა. „კოლხეთი" ახლა ყვავილნარშია, შეკრებას იქ გადის. ფოთელებმა ორი ამხანაგური მატჩის გამართვა მოასწრეს, ჯერ უმაღლესში დაბრუნებულ „მერცხალს" ოზურგეთში ორი შემადგენლობით გაეჯიბრნენ, მატჩი 1:1 დასრულდა. გუშინწინ კი, „ფაზისზე" „ბათუმი" იწვიეს და 1:2 დამარცხდნენ. ტყებუჩავამ აქაც ორი შემადგენლობით ათამაშა გუნდი. გიორგი კრასოვსკის გოლით ფოთელები 1:0 კი იგებდნენ, თუმც მერე სტუმრებმა იძალეს.

„სარბიელი" გია ტყებუჩავას დაუკავშირდა და გუნდში შექმნილ ვითარებაზე დაეკითხა, თუმც მანამდე მის წინამორბედ სოსო ფილიაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...



გადრე ჯეფლაძის ფოტო

ტყებუჩავაც კმაყოფილია

გამოცდილება ჯუნგლის კანონია

— ფილიას მწვრთნელობისას გუნდის უფროსი იყავით, მისი წასვლა კი მოულოდნელი იყო. თქვენ თუ იცოდით ამის შესახებ ადრევე?

— არა. მხოლოდ ის ვიცი, რომ სოსოს ჯერ კიდევ ზამთარში სურდა „კოლხეთის" დატოვება.

— ამბობენ, ფილიას კლუბის ხელმძღვანელობასთან მოსვლია კონფლიქტი. გუნდის უცხოურ შეკრებაზე წაყვანა და იქ მომზადება ჰქონდა განზრახული, უფროსობას კი პირდაპირ უთქვამს, საამისო საშუალება არ გვაქვსო...

— ვერაფერს გეტყვით. არც კონკრეტული მიზეზი ვიცი. ვერც იმას ვიტყვი, სოსოს ხელმძღვანელობასთან ნამდვილად ჰქონდა თუ არა უთანხმოება. ჩვენ ამ თემაზე არ გვისაუბრია.

— ფილიას შემცვლელი უმალ გამოინახა. ელოდით, „კოლხეთის" მწვრთნელად ხელახლა დანიშვნას?

— ნამდვილად არ ველოდი და არც უმალვე დავთანხმებულვარ. მოსაფიქრებლად ორი დღე ვითხოვე, ავწონ-დავწონე ყველაფერი და თანხმობა მერეღა განვაცხადე.

— გუნდის გაძღოლა ვინ შემოგთავაზათ?

— „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ. ჩვენ სიტყვიერად, კაცურად შევთანხმდით. კონტრაქტზე ლაპარაკი არ ყოფილა.

— არც აპირებთ ხელშეკრულების გაფორმებას?

— გითხარით, სიტყვიერად შევთანხმდით. რაც შეეხება კონტრაქტს, ალბათ, მერე გავაფორმებთ. პირადად ჩემთვის არც აქვს მნიშვნელობა, ჩემი უმთავრესი საზრუნავი ახლა გუნდის დაკომპლექტებაა.

— ახალი. მწვრთნელი, ახალი მიზნები. ცხადია, თანაშემწეებად „თქვენი ხალხი" ისურვეთ. ვიცით, უკვე ერთადაც მუშაობთ...

— დიახ, გუნდის გაწვრთნაში დათო მახარაძე და მამუკა გვასალია დამეხმარებიან. ორივე ცნობილი პიროვნებაა ქართულ ფეხბურთში. ჩვენ „კოლხეთი" 10 ივლისს ჩავიბარეთ, გუნდი ფაქტობრივად დაშლილი იყო, არ ვარჯიშობდა.

— ბულგარეთის ნაცვლად ახლა ყვავილნარში იმყოფებით. კმაყოფილი ხართ პირობებით?

— საწუწუნო არაფერი გვაქვს, პირობები ნორმალურია. კარგი იყო, ბულგარეთში გაგვევლო შეკრება, მაგრამ ახლა გვიანია, „კოლხეთი" პრაქტიკულად ჩამოყალიბების პროცესშია. ვარჯიში ვარჯიშად, მაგრამ ჯერ უნდა დაკომპლექტდეთ.

— გამოცდილი ფეხბურთელები კი მიგიწვევიათ. მეკარე ბათიაშვილი, გორელი მცველი მიხეილ თაყაძე, ნახევარმცველი ზაველ ღალანიძე, თავდამსხმელები კოტე მეტრეველი და დავით გოდერძიშვილი...

— ახლა სწორედ გამოცდილები გვჭირდება. განსაკუთრებით თავდასხმაში გვიჭირს.

— გადაწყვეტილია, რომ ზემოხსენებული ხუთეული „კოლხეთში" ითამაშებს?

— დიახ, ეგრეა. მათ გარდა ჯონი შალამბერიძე დავიმატეთ. იგი თავისი სურვილით მოვიდა და ვარჯიშობდა, მერე ხელმძღვანელობასაც დაელაპარაკა პირობებზე.

— მცველი რამაზ სვანაძე არ დაბრუნებულა?

— ველოდებით, მის შესახებ არაფერი ვიცოდი, ახლახან მითხრეს, ერთ-ერთი უცხოური კლუბიდან ელის ზარს და თუ ეგ ვარიანტი ჩაეშალა, ფოთში აუცილებლად ჩამოვაო. სვანაძის გარდა გაბიდაურს, გაგუასა და ტულუშს ველი.

— თემურ ტულუში ხომ ისედაც კოლხია, არ ვარჯიშობს?

— ყვავილნარში ახლა 25 ფეხბურთელი მყავს, არიან ფარმ-კლუბიდან აყვანილებიც. ტულუში ჩვენთან არ იმყოფება, მას ჯანმრთელობის მხრივ შეექმნა პრობლემები. იმედი მაქვს, სვანაძე, გაბიდაური, გაგუა და ტულუში აუცილებლად დაგვიბრუნდებიან. მათ გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტები აკავშირებთ.

— თქვით, გამოცდილი ხალხი გვჭირდებაო, კიდევ გყავთ ვინმე შეგულებული?

— ვარჩევთ. ისე კი, ძალიან მინდა, გუნდში თავდამსხმელი ელდარ გვასალია დავაბრუნო. ვიცი, ელდარი ახლა ყაზახეთშია, თუმც თუ დაბრუნდა და ისურვა „კოლხეთში" კვლავაც თამაში, სიამოვნებით დაველაპარაკები.

— გუნდის მიზანი, ალბათ, ზეექვსეულში მოხვედრაა...

— აუცილებლად, სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

— ზეექვსეული და მეტი არაფერი? ეს გუნდის მაქსიმუმია?

— ვნახოთ, მერე რა იქნება. ხომ გაგიგიათ, მადა ჭამაში მოდისო. ჰოდა, არაა გამორიცხული, საპრიზოსთვის ანაც ევროსარბიელზე გასასვლელად ვიბრძოლოთ.

გიორგი ვაზაკიძე

მესამე და სამართალი

აბრამოვიჩმა გრემი აიღო, სუნესი კი ქართულად გატყდა



დემიენ დაფი „ჩელსიში“ მესამე ცდაზე გადავიდა

რომან აბრამოვიჩის ფული ნელ-ნელა, მაგრამ ჭრის. რუსი საქმოსანი „ჩელსიში“ მისვლის დღიდან მილიონების დახარჯვას ლამობს, მაგრამ რად გინდა — „მილანმა“ ალესანდრო ნესტა 50 მილიონ გირვანქად არ დაუთმო. „შავ-წითლებს“ თავიანთი გირვანქ-დოლარებიც ოხრად აქვთ და აბარამოვიჩი ქისის ზომით ვერ გააკვირვებს.

„არისტოკრატთა“ ახალმა პრეზიდენტმა ვერც „ბებერი ქალბატონის“ გული მოიგო, როცა ედგარ დავიდსზე შეაპარა სიტყვა და არანაკლები შესთავაზა, ვიდრე „მილანს“. „იუვეს“ ბოსებმა იუარეს, რადგან „მწვანეები“ ანიელის ოჯახსაც მოეძიება.

თუმცა ევროპაში სულ „მილანები“ და „იუვენტუსები“ ხომ არ არიან, ზოგ კლუბს გროშები ენატრება და მზადაა, თავის ბუდეში გამოზრდილი ბარტყი სარფიანად გაყიდოს.

პრემიერლიგის საზომით „ბლექბერნს“ ღარიბს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ როცა რომან აბრამოვიჩის ჯიბის ფართი ცნობილია და ცთუნებაც საკმაოდ დიდია, დანებება გარდაუვალია.

„ბლექბერნის“ მენეჯერისთვის, გრემ სუნესისთვის რომც არ ეკითხათ, საკუთარი ინიციატივით წამოაყრანტალებდა ხოლმე მალიმალ: „დემიენ დაფი არ იყიდება!“ ხოლო თუ ვინმე ირლანდიელის ფასზე ჰკითხავდა, არარეალურ თანხას აასახელებდა.

ასე იყო გაზაფხულზე, ივნისში და ივლისის დასაწყისშიც. რომან აბრამოვიჩის მილიონებით შეიარაღებულმა „ჩელსის“ აგენტებმა „ბლექბერნს“ სამჯერ მიაკითხეს, დემიენ დაფი დაგვითმეთო.

ერთი უარი, მეორე და მესამე დაყივლებაზე გრემ სუნესი გატყდა. „ჩელსი“ და „ბლექბერნი“ ირლანდიელის სატრანსფერო თანხაზე შეთანხმდნენ. დეტალები უცნობია, მაგრამ მესამე შეთავაზებისას „არისტოკრატები“ 17 მილიონ გირვანქას სთავაზობდნენ.

რომან აბრამოვიჩმა უკვე მესამე ფეხბურთელი მიითვალა. „ვესტ ჰემიდან“ გლენ ჯონსონი, მადრიდის „რეალიდან“ ჯერემი ნჯიტაპი და ესეც მესამე — დემიენ დაფი.

ვაჟა ხუციშვილი



დევიდი და ათი მცნება

ლურჯი წიგნი რეალის ბიბლიაა

ნეტავ დევიდ ბექემს ძლიერ გაუჭირდება? ნეტავ მისთვის რთული იქნება მადრიდის „რეალის“ მოთამაშეთათვის სავალდებულო იმ ათი წესის თუ მცნების შესრულება, რომლებიც ლურჯ წიგნშია თავმოყრილი და რომელიც მას დიდი მოწიწებით გააცნეს?

მოდი, „რეალის“ წესებს ჩვენც გადავავლოთ თვალი:

1 იცოდე, როგორ გაიმარჯვო, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც იცოდე, როგორ წაგო
2 მსაჯს არ ეკამათო, ეს შენი სისუსტის ნიშანია
3 მეტოქეს ჩვენს წინააღმდეგ ცხოვრების უდიდესი მატჩი აქვს
4 გასახდელი წმინდა ადგილია, ყველაფერი იქ წყდება
5 პრესის წინაშე სამაგალითოდ მოიქეცი
6 ქომაგები, განსაკუთრებით ბავშვები, პატივისცემას იმსახურებენ
7 ოფიციალური მოგზაურობისას კოსტუმი სავალდებულოა
8 წამალი მხოლოდ კლუბის ექიმს უნდა გამოართვა
9 პირად ცხოვრებაში ზომიერება უკიდურესად მნიშვნელოვანია
10 მადრიდის „რეალი“ ის გუნდია, რომელიც იგებს

მიმომხილველები უპირველესად მეშვიდე წესს უბრუნდებიან და ამბობენ, რომ ამ წესში დამატებით შედის:

„იყავი ელეგანტური, შენ ის ადამიანი ხარ, რომელსაც ათასობით ადამიანი ბაძავს. ოფიციალური მოგზაურობისას უნდა გეცვას შესაბამისი კოსტუმი, მიხედე გარეგნობას“.

ერთი სიტყვით, ბექემმა მეშვიდე წესი ასე უნდა გაიგოს: „გაუფრთხილდი იმიჯს“ — ჩვენ კი უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანს ზემეტი ექსტრავაგანტულობისგან სთხოვენ თავის შეკავებას.

თუმცა მთავარი მსაჯთან კამათია — ბექემს არბიტრებთან დიალაც, ჰქონია პრობლემა.

გავიმეოროთ წესი ნომერი ორი: „მსაჯთან კამათი სისუსტის ნიშანია. შეურაცხყოფის მიყენებით ვერაფერს მიაღწევ. მადრიდის „რეალი“ არასდროს კამათობს“.

„ლიბრ აძული“ ანუ ლურჯი წიგნი, ინგლისურად ნათაგრმნი, ბექემს პირადად „რეალის“ პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა მიართვა. წიგნს თან ტექნიკური დირექტორის, ხორხე ვალდანოს წერილი ახლდა. მოვიტანოთ ციტატა:

„თამაშის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება შენ, ფეხბურთელი ხარ და ჩვენ მაქსიმალურ პროფესიონალიზმს გთხოვთ. უგუნური და არაპროფესიონალი ფეხბურთელი კლუბში დიდხანს ვერ გაჩერდება. შენ პატივი გერგო, ზურგით ატარო კლუბის ისტორია და კულტურა“.

კიდევ მიმომხილველები გასახდელის სიწმინდეზე აკეთებენ მახვილს და იგონებენ იმ შემთხვევას, ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ გასახდელში ბექემს თავში ფეხსაცმელი რომ გაარტყა, მან კი მეორე დილით თმა აბადოკით გადაიწია, რათა გახეთქილი შუბლი ფოტორეპორტიორებს კარგად დაენახათ და გადაეღოთ.

კიდევ მეცხრე ანუ ზომიერებასთან დაკავშირებული პუნქტი იწვევს თურმე ეჭვს. დევიდისგან და ვიქტორიასგან ბარ-რესტორნებში დილით 4 საათამდე ჯდომას თუ ელიან...

და ბოლოს, ალფრედო დი სტეფანო, ლეგენდა რომლის მიმართვითაც ლურჯი წიგნი მთავრდება:

„ჩენ მე-20 საუკუნის უდიდესი კლუბი ვიყავით. ტრადიცია შენი გასაგრძელებელია“.

პაპუნა კედია

დეკო ბარსელონას მონასტერში ელის

ვინაიდან რონალდინიოს „ბარსელონაში“ გადასვლა მანჩესტერული გირვანქების ჩხრიალის გამო ვერ ხერხდება, კატალონიური გრანდის თავკაცებმა სატრანსფერო მზერა ამჯერად პორტუგალიაში გადაიტანეს და იქაურ ანდერსონ ლუიშ დე სოუზაზე, ანუ პორტუელ დეკოზე დაიწყეს ნადირობა.

ბარსელონელთა და პორტუელთა საჯილდაო ვარსკვლავი ახლა სეზონთაშორის არდადეგებზე გერმანულ ქალაქ მარიენფელდში იმყოფება. აქ, 800-წლოვანი ისტორიის მქონე მონასტრის კედლებში (რომელიც ამჟამად ელეგანტურ სასტუმროს წარმოადგენს), ექსბრაზილიელი დეკო დიდი ფეხბურთისგან ისვენებს და თავისი წარმომადგენლის, ჟორჟე მენდესისგან კატალონიურ ცნობებს ელოდება.

იქამდე კი მობურთალი დიპლომატიურად იქცევა და „პორტუს“ გულშემატკივრებს გული რომ არ დასწყვიტოს, თავის შესაძლო ტრანსფერზე საკმაოდ სიტყვაძუნწად ლაპარაკობს.

„პორტუში დიდებულად მეპყრობიან და იქ არავითარი პრობლემა არ მაქვს. თუმც როდესაც „ბარსაზე“ ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, მისი ფანტასტიკური წარსული და შესაძლებლობები — განუცხადა დეკომ ესპანურ „სპორტს“ — „ბარსელონას“ გზა ჩემმა თანამემამულეებმა, რომარიომ, რონალდომ და რივალდომ უკვე გაიარეს. ნებისმიერი ფეხბურთელი, თუკი მას ამის საშუალება მიეცემა, ევროპის საუკეთესო კლუბებში თამაშზე გადაჭრით უარს არასდროს იტყვის“.

„სპორტის“ ეშმაკურ შენიშვნაზე, კატალონიაში გადასვლის შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე უარის თქმა მოგიწევსო, ანდერსონ ლუიშ დე სოუზამ ასე მიუგო: „ეს პრობლემა არ იქნებოდა. „ბარსელონას“ საფეხბურთო დიდება უფრო მეტია, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის ერთი სეზონი. მჯერა, რომ მცირე ხანში კატალონიური კლუბი ძველ მწვერვალებს დაიპყრობს“.

„პორტუს“ ხელმძღვანელობა კი ჟორჟე მენდესის ესპანურ ვოიაჟს მკვეთრად უარყოფითად აფასებს. „დეკოს ტრანსფერის ამბავი საგაზეთო ჭორია. თუ ისინი ჩემი ფეხბურთელის წაყვანას მოინდომებენ, შევეცდები, „ბარსელონადან“ სავიოლასა და მოტას გადმობირებაზე ვიზრუნო“ — იქადნება პორტუგალიური კლუბის პრეზიდენტი პინტუ და კოშტა. იქაურმა გულშემატკივრებმა კი პორტუს „დას ანტასის“ სტადიონის კედლები ასეთი წარწერებით ააჭრელეს: „გაყიდეთ დეკო ჩვენს ოცნებებთან ერთად“, ანდა „ან დეკო ან არაფერი“.

ერთი სიტყვით, პირინეის ნახევარკუნძულზე დიდი „შიდა სატრანსფერო“ შერკინებაა მოსალოდნელი. ხოლო დეკოს საწყის ფასად ჯერ 15, ხოლო შემდეგ 20 მილიონი ევრო გმოცხადდა.

ლადო ხომერიკი



რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

სტივ მაკმანამანს „რეალში“ ზედაც აღარ უყურებენ

ზოგი ასე უბერავს!

ქვემოთ ინგლისიდან ჩამოფრენილი წვრილ-წვრილი ამბების ასხმას გთავაზობთ, ოღონდ აქვე პატიოსნად გეუბნებით, რომ რაღაცეებიც გამოვტოვეთ, თორემ მთელი გაზეთი გაივსებოდა

მაჯა მინდა და ატრიალე ველოსიპედი

ავსტრიაში მოვარჯიშე „ევერტონმა“, სტივ მაკმანამანს ვიყიდი, ოღონდ თუ ოთუსბირს არ დამისვამენო. ისე, საინტერესოა, „ლივერპულის“ ყოფილი ვარსკვლავი „ევერტონის“ მოთამაშე როგორ უნდა გახდეს — ქალაქის ამ ორ გუნდს ხომ ფრიად სძულს ერთმანეთი და კიდევ, მაკმანამანს „რეალი“, ინგლისურად რომ გადავიყვანოთ, კვირაში 60 ათას გირვანქას უხდის, თან, ფაქტობრივად, არაფრის კეთებაში, ხოლო „ევერტონმა“ ნეტავ ისე როგორ უნდა გაიკრას ჯიბეზე ხელი, თავისი გასამრჯელო მადრიდულს ოდნავ მაინც რომ მიუახლოვოს?

„არა, ჯერ მასთან არ მისაუბრია, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენი გუნდისთვის დიდებული შენამატი იქნებოდა“ — განაცხადა „ევერტონის“ მწვრთნელმა დევიდ მოისმა.

საგულისხმოა, რომ „რეალი“, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტით კიდევ ერთი წელიწადი რჩება, მაკმანამანს ახლავე აყენებს ეგრეთ წოდებულ თავისუფალ ტრანსფერზე.

უეინ რუნიმ კი ვარჯიშზე კუნთი გაიჭიმა — არადა, ინგლისის ნაკრებში გამოძახების გამო კლუბმა ერთი კვირით მეტი დაასვენა. რუნი, მოგეხსენებათ 17 წლისაა.

მოისი: „ტრავმა სერიოზული არ გახლვთ. ერთი ორი დღე დავაკვირდებით, თუმცა, ვიმეორებ, სერიოზული არაფერი უნდა იყოს. ახლა ბურთს გავარიდებთ, იყოს, ველოსიპედი ატრიალოს და სხვა ვარჯიშები შეასრულოს“.

არა!

„ლივერპულის“ ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე კი ქომაგებს არწმუნებს, რომ სტივ ჯერარდი კლუბთან ახალ, მრავალწლიან კონტრაქტს გააფორმებს — არადა, ამბობდნენ, 50 მილიონ გირვანქად „ჩელსი“ იყიდისო. 23 წლის ჯერარდს, „ლივერპულთან“ ჯერ მოქმედი ხელშეკრულების თანახმად კიდევ ორი წელიწადი აკავშირებს.

ულიე: გამორიცხულია, ის სადმე გადავიდეს, ერთადერთი შანსი „ლივერპულთან“ კონტრაქტის გაფორმებაა.

ფიფამ ჯამა?

ხოლო ფიფამ, როგორც იქნა, დაადასტურა ოლივიე დაკურის „რომაში“ გადასვლის კანონშესაბამისობა. პრობლემა ასეთი იყო: „რომა“ დასჯილი გახლდათ, ეგრეწოდებული სატრანსფერო დისკვალიფიკაცია ჰქონდა მისჯილი და დაკურის 3,5 მილიონიანი გადასვლა „გასესხებად“ გაფორმდა. ხოლო ემბარგო იტალიურ კლუბს იმიტომ ედო, რომ პერუს „სპორტინგ კრისტალის“ ვალი ჰქონდა.

„დაკური „რომაში“ „ლიდსისგან“ ნასესხებად იყო გაფორმებული, მისი ბარათი კი უკვე იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში გახლდათ რეგისტრირებული“ — დაიჩივლა ფიფას პრეს-მდივანმა.

წილი, წილი

„ასტონ ვილას“ კი უხარია, რომ იყიდება. ლონდონელი სპორტ-კვაჭი, ადვოკატი მელ გოლდბერგი თურმე სამხრეთ ამერიკას გადასწვდა და იქაურ მილიარდელს „ვილას“ თავმჯდომარე დგ ელიასი დაუკავშირა.

„კლუბის დირექტორატი ადასტურებს, რომ გასული კვირის მიწურულს თავმჯდომარეს დაუკავშირდნენ და წილთან დაკავშირებით მიმართეს. დეტალები უცნობია“ — ადასტურებენ ბირმინგემში. კლუბის აქციებმა გუშინწინ 14-დან 187,5-მდე იმატა.

„ასტონ ვილასთან“ დაკავშირებით კიდევ ის შეიძლება ითქვას, რომ ამ გუნდის ყოფილი მარცხენა მცველი ალან რაიტი „რეინჯერსში“ მივიდა — გლაზგოელებს გერმანაში, შეკრებაზე „დაეწვია“. რაიტს რომ „რეინჯერსში“ ქართული გარემოც დახვდება, ცნობილია. თუმცა ამჯერად ქართველებზე არ ვლაპარაკობთ და გლაზგოელების მწვრთნელს, ალექს მაკლიშს ვუგდოთ ყური:

„ალანი ჩვენთან სავარჯიშოდ და, ალბათ, დასარჩენად ჩამოვიდა. ჩვენი სურვილი დაცვის მარცხენა ფრთის გაძლიერებაა და ალანსაც რამდენიმე დღეში ყველაფერზე მოველაპარაკებით“.

ლონდონში

ამ დროს „ფულემის“ ახალმა მწვრთნელმა, კრის კოულმენმა თქვა, რომ ორი წამყვანი მეკარიდან ერთი უნდა გაუშვას ანუ ედვინ ვან დერ სარსა და მაიკ ტეილორს შორის არჩევა მოუხდება. თავად ტეილორს სწამს, რომ სწორედ მას გაუშვებენ, რადგან ჰოლანდიის ნაკრების 66-გზის მეკარე ვან დერ სარი „ფულემში“ კვირაში 50 ათას გირვანქას იღებს და ამიტომ მისი მყიდველი ძნელად თუ გამოჩნდება.

ტეილორი: „დღეს ისე ჩანს, რომ ედი დარჩება ანუ ჩვენგან თუ როდესაც ბურთი ჩემგან შორს იქნება, მაგრამ ამას შეჩვეული ვარ, ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია და ხელს არ მიშლის“ — ამბობს ამერიკელი.

ჰოვარდის დებიუტს მომდევნო კვირას, „სელტიკთან“ შეხვედრისას ელიან. საინტერესოა, რომ მეკარეს ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ ცხრა შეხვედრა აქვს ჩატარებული და ამიტომ ბრიტანეთში მუშაობის უფლებას არ აძლევდნენ. ამ უფლების მოპოვებას სასამართლოში საქმის მოგება დასჭირდა.

„სირთულე მისი ამერიკელობა იყო, — განმარტა ფერგიუსონმა, — იმან, რომ ევროპის მოქალაქე არ იყო, საქმე გასულ პარასკევამდე გაგვიჭანჭლა. ამიერიდან ყველაფერი რიგზეა და „იუნაიტედში“ დიდ კარიერას ვუსურვებ. ვიცით, რომ მართლა კარგ კლუბში თამაშით სიამოვნებას აპირებს“.

პაპუნა კედია



მიკი ადამსი: უვარგისებო, ჩემთან

მელიმე უნდა წავიდეს, წასვლა მე მომიწევს. გულწრფელად რომ გითხრათ, „ფულემში“ ყოფნა მომწონს, თუმცა ვხვდები, რომ დღევანდელ ვითარებაში ორი მეკარე ამ კლუბისთვის მეტისმეტი ფუფუნებაა“.

ლონდონის მეორე მხარეს, „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ კი უარი მიიღეს, 3,5 მილიონ გირვანქად სკოტ პარკერს ვერ მოგყიდითო. პარკერიც ლონდონში, ოღონდ კიდევ სხვა მხარეს, „ჩარლტონ ატლეტიკში“ თამაშობს. აღსანიშნავია, რომ გლენ ჰოდლის ხალხმა ჩარლტონელებს მის სანაცვლოდ თავიდან ერთი მილიონი გირვანქა და მეტ ეზერინგტონი შესთავაზა. მაგრამ, როგორც ხედავთ, პირველ წინადადებაზე კი არა, 3,5 მილიონზეც ვერ დაიყაბულეს პარტნიორები.

უვარგისებო, მოდით!

და მიკი ადამსი, ბატონებო, „ლესტერში“ უვარგისების გუნდს კრებს. ახლახან მან მეშვიდე უვარგისი შეიძინა — ლეს ფერდინანდი.

„დიახ, უვარგისებს ვკრებ, სხვა მწვრთნელები რომ იწუნებენ, ისეთ ხალხს ვყიდულობ. უნდა გითხრათ, რომ ფული კიდევ დამრჩა და ერთიორ უვარგისსაც გავწვდები“ — განაცხადა სტივ ჰოუის, შიმეცას, ბრუკერის, კოინის, გილესპის, ნელისის და ზემოხსენებული ფერდინანდის მყიდველმა ადამსმა.

პაპუნა კედია



სტივენ ჯერარდი გამორიცხულია!


ოლივიე დაკურის ტრანსფერი ფიფამ გაჩარხა

იყვირე, ტიმ, იყვირე!

ამერიკელი მეკარე ტიმ ჰოვარდი 23 მილიონ გირვანქად „მეტროსტარზიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა. 24 წლის გოლკიპერმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„მანჩესტერის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი: „ის ნიჭიერი და ახალგაზრდაა. დიახ, ის უცხო გარემოში აღმოჩნდება, მაგრამ პიტერ შმაიხელის დროსაც ხომ ამას ვამბობდით, მერე კი, თავად გახსოვთ, საქმე როგორ მოტრიალდა. აქ მთავარი ისაა, რომ ტიმს შანსი ეძლევა, თუმცა მწვრთნელი გარანტიას ვერავის მისცემს, ძირითადში ადგილი ყველამ თვითონ უნდა დაიმკვიდროს. ის ძალიან სხარტია, რეფლექსები განვითარებული აქვს. კონფედერაციათა თასზე მისი თამაში დიდებული გახლდათ“.

თავად ჰოვარდი: „აქ თამაში კი არა, ამის გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი იყო, მაგრამ როდესაც მანჩესტერიდან ინტერესი ვიგრძენი, ჟინმა ჩამითრია. ეჭვი არ არის, „იუნაიტედი“ მსოფლიოს უდიადესი კლუბია. იმედი მაქვს, რომ ჩემს ძლიერ თვისებებს გამოვიყენებ. იცით, ფეხბურთის მოყვარულ ამერიკელებს, არც ესმით, რას ნიშნავს „მანჩესტერ იუნაიტედი“ მთელი სიგრძე-სიგანით. მე აქ დაუღალავად ვივარჯიშებ, დანარჩენი კი მწვრთნელის საქმეა“.

ჰოვარდზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ტურეტის სინდრომს. იცით, რა არის ეს? ეს გახლავთ კუნთების უნებლიე თამაში და წამოძახილები — ჰოვარდი ავადმყოფია.

„სამწუხაროდ, ხალხს განათლება არ ჰყოფნის და ათას რამეს იგონებენ. რა გაეწყობა, ასეთია ცხოვრება. მე კი ვიცი, რომ „მანჩესტერში“ ბურთის კარში არგაშვება მომეთხოვება და ამ საქმეში ჩემი დაავადება ხელს ვერაფრით შემიშლის. შესაძლოა, სინდრომმა მაშინ იჩინოს თავი, როდესაც ბურთი ჩემგან შორს იქნება, მაგრამ ამას შეჩვეული ვარ, ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია და ხელს არ მიშლის“ — ამბობს ამერიკელი.

ტიმ ჰოვარდმა ბარტეზს მაისურა აუფრიალა

რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

ლოკომოტივი 3:3 ცსკა

0:1 იანოვსკი (19), 0:2 პოპოვი (24), 0:3 გუსევი (63), 1:3 აშვეთია (76)

ლოკომოტივი: ს. ი. ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, პაშინინი, სენიკოვი, დროზდოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, მაშინოვი, ბუზნიკინი (ს. ბ. ოვჩინიკოვი 61), იზმაილოვი, **აშვეთია** (სირხავეი 77)

ცსკა: აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, ევსიკოვი (სოლომატინი 54), შემბერახი, შერშუნი, იაროშიკი, რახიმიჩი, იანოვსკი (ლაიზანი 71), გუსევი, პოპოვი (კირიჩენკო 85)

15 000 მაყურებელი

ეს 24-ე ტურის მატჩი იყო და ნაადრევად იმიტომ გაიმართა, რომ ორივე გუნდს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩები ელის.

„ლოკომოტივი" შარშანდელის აჩრდილია, ცსკა კი, მიუხედავად მცირე ჩავარდნისა, ლიდერობას მყარად ინარჩუნებს და ჩემპიონობის მთავარი კანდიდატია.

ბრმიელებმა პირველ წრეში მისავათებული „ლოკო" იოლად დაამარცხეს და, შეიძლება ითქვას, გამარჯვება არც ამჯერად გასჭირვებიათ.

ვალერი გაზაევს იური სიომინთან შარშანდელი ანგარიში აქვს გასასწორებელი. გასულ ნოემბერში „ლოკომოტივმა" საჩემპიონო „ოქროს მატჩში" ცსკა-ს სძლია. წლეულს სამხედროებმა მეტოქე ორჯერ დააჩოქეს და ჯავრი იყარეს.

სიომინის გუნდის წაგება ნაწილობრივ ობიექტური მიზეზებითაც აიხსნება. ტრავმირებულნი არიან ევსეევი, პიმენოვი და იგნაშევიჩი. კოსტარიკელი ლეგიონერი უინსტონ პარკსი თავისი ქვეყნის ღირსებას იცავს. სერბ ობრადოვიჩს „სტრასბურში" გადასვლა მოუნდა და საფრანგეთისკენ მოუსვა. „ლოკომოტივს" ორი ახალი ფეხბურთელი შეემატა, დიმიტრი ხოხლოვი და მიხეილ აშვეთია. ამ მცირე არეულობით კარგად ისარგებლეს გაზაევის ქვეითებმა და აწეწილი „ლოკომოტივი" პირველი ტაიმის ნახევარშივე მოახრჩვეს.

თავის მხრივ, ცსკა-ს სერგეი სემაკი აკლდა, მაგრამ უსემაკობა არმიელებს არ დასტყობიათ. სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან" ვიაჩესლავ მანდრიკინის გარჯით მწვრთნელი უკმაყოფილო დარჩა. ამიტომ მის ნაცვლად კარში ყმაწვილი აკინფეევი ჩაყენა და არც შემცდარა.

იური სიომინმა მიხეილ აშვეთიას ცენტრფორვარდობა უბოძა, ლოსკოვს, იზმაილოვსა და ხოხლოვს ქართველის მომარაგება დაავალა.

დაახლოებით 15 წუთის მანძილზე მეტოქეები ერთმანეთის შეცდომებს ელოდნენ და ამ დროის განმავლობაში თვალსასაჩინო არაფერი მომხდარა. მერე თამაში გახურდა და ხოხლოვის პასით აშვეთია კინაღამ აკინფეევს შეაფეთა. მეკარემ ქართველს საჯარიმოს ხაზთან წამით დაასწრო.

ოდნავ მოგვიანებით, სწრაფი კომბინაციის შედეგად დასარტყმელ პოზიციაზე მამინოვი აღმოჩნდა, მაგრამ ბურთს უშნოდ წაუბარტყუნა.

არმიელებმა „ლოკომოტივი" საკუთარ ნახევარზე შეიტყუეს და პირველივე კონტრშეტევა გოლად აქციეს. გუსევის დარტყმული ოვჩინიკოვმა კი მოიგერია, თუმც იანოვსკიმ ვარდნაში თავურით დაამატა და ანგარიში გახსნა.

ამ მომენტიდან ხუთიოდ წუთში ჯარმა მეორედ მოარტყა მიზანში. პოპოვს ნიჟეგოროდოვი და პაშინინი ვერ გაუმკლავდნენ. არმიელმა მცველის ფეხიდან უკუგდებულ ბურთს დაჰკრა და ოვჩინიკოვს მეორე გაუტანა. ფაქტობრივად, მატჩის ბედი ხუთწუთეულმა გადაწყვიტა. „ლოკომოტივი" თამაშის შემომბრუნებელ გუნდს ნამდვილად არ ჰგავდა, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის მიწურულს, აშვეთიას გოლის შემდეგ, რკინიგზელებმა ცსკა-ს საჯარიმოს ოკუპაცია მოახდინეს და კარიც დაუბომბეს. აკინფეევმა რამდენიმე ურთულესი ბურთის მოიგერია და მასპინძლებს აღარ გაატანინა.

ცსკა-მ უახლოეს მდევარს ცხრა ქულით გაასწრო და საეჭვოა, ჩემპიონობაში ვინმე შეეცილოს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი არმიელი როლან გუსევი გახდა

ცეესკა და თხუთმეტი ყვარყვარე

რუსეთს ჯარი გაექცა

ვაჟა ხუციშვილი

ცსკა	17	11	4	2	33:19	37
დინამო	16	8	4	4	29:17	28
სატურნი	16	7	6	3	22:14	27
შინიკი	16	6	8	2	22:14	26
ზენიტი	16	7	4	5	20:20	25
კრილია	16	6	6	4	22:15	24
რუბინი	16	6	6	4	22:15	24
როსტოვი	16	6	6	4	19:23	24
ლოკომოტივი	17	6	4	7	22:24	22
ტორპედო	16	5	5	6	18:20	20
სპარტაკი	16	5	4	7	21:24	19
ჩერნომორეცი	16	4	6	6	19:22	18
როტორი	16	4	4	8	19:24	16
ურალანი	16	3	6	7	10:21	15
ალანია	16	4	0	12	9:29	12
ტ. მეტალურგი	16	2	5	9	12:18	11

ოთხტაიმიან დალა ბონას ბოლონია ურჩევნია



შარშან ზაფხულს იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი სამუელე დალა ბონა ლონდონის „ჩელსიდან" „მილანში" გადავიდა. მაგრამ მილანელებმა რატომ შეიძინეს, გულშემატკივრისთვის გაუგებარი დარჩა. მაშინ, როცა თვით რივალდოც კი სათადარიგოთა სკამს იშვიათად შორდებოდა, დალა ბონას მოედანზე ვინ გაიყვანდა.

კარლო ანჩელოტის ხელში ყმაწვილმა იტალიელმა მთელი სეზონი ფაქტობრივად უქმად გაატარა და გუნდის თამაშს მოედნის კიდიდან შესცქეროდა. მან „ჩელსიში" გატარებული ოთხი წლის შემდეგ „მილანში" მხოლოდ ოთხი ტაიმი ითამაშა.

„მილანის" თადარიგში ყოფნას „ბოლონიაში" თამაში მირჩევნიაო, თქვა დალა ბონამ და კლუბმა მას ერთწლიანი იჯარა გაუჩარხა. შემოდგომიდან ფეხბურთელი მაისურას გამოიცვლის და თუ იქაურობას კარგად შეეწყო, მომავალ ზაფხულს შესაძლოა, ბოლონიელებთან კონტრაქტიც გააფორმოს.

ვაჟა ხუციშვილი

პორტუს მესამე თვალი აქვს

იმას ხედავს, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ



ბენი მაკარტი

პორტუგალიის ჩემპიონმა და უეფას თასის მფლობელმა „პორტუმ" სამი ფეხბურთელი დაიმატა, ერთი კი გაასხვისა.

სამხრეთაფრიკელი ბენი მაკარტი, ვინაც აქამდე ესპანური „სელტას" საკუთრება იყო, პორტუელებს ორნახევარ მილიონ ევროდ შეუერთდა. უფრო სწორად, მაკარტი „პორტუში" დარჩა, რაკი მოლო ექვსი თვე იქ ივჯარით თამაშობდა.

გარდა ამისა, „პორტუმ" თავისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტისგან, ლისაბონის „სპორტინგისგან" რიკარდო ფერნანდეში გადაიბირა და ბრაზილიელი კლეიტონი დაუთმო.

25 წლის რიკარდო ფერნანდეშს, რომელიც ამპლუით გამთამაშებელია, „პორტუმ" ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „სპორტინში" ფერნანდეშმა ჟოაო პინტუს, პედრო ბარბოსასა და ტინიტუს კონკურენცია ვერ გაუწია, რის გამოც ჯერ „სანტა კლარაში", მერე კი „ჟილ ვისენტეში" გაანათხოვრეს. თუმცა, როგორც ჩანს, „პორტუმ" ამ ფეხბურთელში ის დაინახა, რასაც „სპორტინგი" ვერ ამჩნევდა და თავისთან წაიყვანა.

ამ ტრანსფერით თავად ფეხბურთელიც კმაყოფილია და თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას აპირებს.

„ძალიან მინდა თამაში და ყველაფერს ვიღონებ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად. გარდა ამისა, ჩემთვის ღირსების საკითხია, რომ „პორტუს" ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაში დავეხმარო" — თქვა რიკარდო ფერნანდეშმა.

„სპორტინგში" გადასვლით ბრაზილიელი კლეიტონიც ნასიამოვნები დარჩა და განაცხადა: „ძალიან კარგად დამამახსოვრდა ის დრო, რომელიც ბრწყინვალე ქალაქ გავატარე, მაგრამ ლისაბონში ახალი თავგადასავალი მელის და იმედი მაქვს, რომ წარმატებას მივაღწევ".

„პორტუს" მეორე ახალბედაც 25 წლის ბრაზილიელია, სერჟინიო. იგი „ბოავიშტაში" თამაშობდა, მაგრამ ბოლო ნახევარი წელი „ფერეირაში" იყო განათხოვრებული. სეზონის ბოლოს კი „ბოავიშტასთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა და თავისუფალი აგენტის სტატუსით „პორტუში" ჩაირიცხა.

სერჟინიომ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ძალიან მოკლედ გამოხატა თავისი აზრი: „ასეთ კლუბში თამაშზე ყველა ფეხბურთელი ოცნებობს".

გიორგი კაკაბაძე

კონკაკაფის ოქროს თასი 2003

A ჯგუფი. II ტური

ბრაზილია 2:1 ჰონდურასი

1:0 მაიკონი (16), 2:0 დიეგო (85), 2:1 ლეონი (90)

მექსიკა ისვენებს

მექსიკა	1	1	0	0	1:0	3
ბრაზილია	2	1	0	1	2:2	3
ჰონდურასი	1	0	0	1	1:2	0

B ჯგუფი. II ტური

იამაიკა 2:0 გვატემალა

1:0 ლოუჯი (30), 2:0 ე. უილიამსი (71)

კოლუმბია ისვენებს

იამაიკა	2	1	0	1	2:1	3
კოლუმბია	1	1	0	0	1:0	3
გვატემალა	1	0	0	1	0:2	0

იამაიკელთა მეკარე დონოვან რიკეტსს გვატემალელმა კარლოს უმბერტო რუისმა პანღური ამოჰკრა

PEACE CUP

A ჯგუფი

სეუნგამ ილვა (ს. კორეა) 2:1 ბეშიძთაში (თურქეთი)
ლიონი (საფრანგეთი) 2:0 კაიზერ ჩიფსი (ს. აფრიკა)

იუვენტუსში პიპოს ახლაც მისტირიან

ფილიპო ინძაგი თამადადაც კარგი ყოფილა

ევროპის საკლუბო ჩემპიონი, იტალიური „მილანი“ ახლა შვებულებაშია. ადრიანო გალიანიმ „რომასთან“ იტალიის თასის საპასუხო ფინალური მატჩის დამთავრებისთანავე ბრძანა, ყველას, ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, 49-დღიანი შვებულება გამოვუწერეთ, ამხელა ვადით „თავისუფლება“ სწორედ რომ დაიმსახურეს და მილანელოს საწვრთნელ ცენტრში 20 ივლისს ველითო.

„შავ-წითლებიც“ მიმოიფანტნენ, ზოგი სად, ზოგი სად. ფეხბურთელებს ნამდვილად არ გასჭირვებიათ და ბევრიც არ უფიქრიათ, არიქა, სად დავისვენოთო. ერთ-ერთი მათგანი, თავდამსხმელი ფილიპო ინძაგი, თავის შეყვარებულთან ერთად ჯერ სარდინიაზე იყო, მერე მონტე კარლოში გადაინაცვლა, ბოლოს კი თავის ძმაკაც ბობო ვიერის ჩააკითხა იბიცაზე.

იტალიაში დაბრუნებულმა, მზისგან გარუჯულმა პიპომ არც ძმაკაცის დაბადების დღე დაივიწყა. კრისტიან ვიერი 12 ივლისს 30 წლის მოიყარა და, ბუფონის, ტაკინარდის, ბროკისა და ბრაზილიელი რონალდოს კამპანიაში ირთობდა თავს. ფილიპოს სტუმრებთან ენამოსწრებულად უხუმრია, ერთი ხანობა თამადობაც გაუწევია, კაზინოში ფული დახარჯა, ბოლოს კი ცეკვისგან არაქათგამოცლილი ერთ-ერთ ჟურნალისტს გასაუბრებია. იტალიელ კოლეგასაც რა ენაღვლებოდა, ადგა და მთვრალი პიპო ინძაგის ნათქვამი გაზეთის ფურცლებზე გადაიტანა.

მოკლედ, „მილანის“ მეცხრე ნომერმა თქვა: „ჩემთვის გასული სეზონი ფანტასტიკური და გამორჩეული გახლდათ. მოვიგე ჩემპიონთა თასი და იტალიის თასი. სეზონში გავიტანე 30 გოლი, ეს ჩემთვის რეკორდია. ამდენი, ერთი წლის მანძილზე ყველა შეჯიბრებებში ერთად აღებული, არასდროს გამიტანია. სიმბოლურია ისიც, რომ სეზონის პირველი და ბოლო გოლები სწორედ „სან სიროზე“ შევაგდე — პირველი ჩეხურ „ლიბერეცთან“ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ მატჩში, ბოლო კი „რომასთან“ იტალიის თასზე.“

ინძაგის ჟურნალისტმა უთხრა, ვიცი, შენი და ტიფოზების დამოკიდებულება, კლუბისადმი და მათდამი სიყვარული, მწვრთნელსაც ხშირად შეუქიხარ. მაგრამ არის ერთი პიროვნება, რომელიც თურმე სუპერპიპოზე ძალიან ყოფილა შეყვარებულიო. ის „იუვენტუსის“ ერთ-ერთი დირექტორი ანტონიო ჯირაუდოაო.

ალბათ, გაინტერესებთ მიზეზი. ჯირაუდოსთვის უკითხავთ, ახლო წარსულში ვინც „იუვენტუსი“ დატოვა, ყველაზე მეტად ვისზე გწყდებათ გული, რომელი ვარსკვლავი გაკლიათო.

ანტონიო ჯირაუდო: „რომელი მაკლია? გგონიათ, ვიერი ან ზიდანი? არც ერთი, ორივეს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მე „იუვეში“ პიპო ინძაგის დაბრუნებას ვისურვებდი. მისებრ ფორვარდი სანთლით საძებარია. მას გოლის შეგრძნების უტყუარი ალღო აქვს.“

ინძაგი ჯირაუდოს კომპლიმენტს საკმაოდ მშვიდად შეხვდა, თუმც: „მისი სიტყვები სტიმულს კიდევ უფრო მმატებს. გმადლობთ, ანტონიო, თუმც მე ახლა „მილანის“ ფეხბურთელი ვარ. ალბათ, ახლა ჩემი გუნდის ქომაგები სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტენ, კონკურენტს თავდამსხმელი წავგვარეთო.“

ინძაგის ტიფოზები შემთხვევით არ უხსენებია. „მილანის“ ქომაგებმა იტალიაში და, ალბათ, მის გარეთაც, ყველანაირი რეკორდი დაამხეს: „როსონერის“ ფანებმა სულ რაღაც ხუთ დღეში 35 000 სეზონური აბონემენტები შეიძინეს. ისევ პიპო: „მათ მხარდაჭერას და გვერდში დგომას ყოველთვის ვგრძნობთ, ცუდად ვთამაშობდით თუ კარგად, არასდროს მივუტოვებივართ. მანჩესტერული ფინალის მერე რაც ხდებოდა, ეგ ხომ ენით აუწერელია. ტიფოზები გაგიჟდნენ. არც მიკვირს, რომ უკვე ამდენი აბონემენტი გაიყიდა. მორჩა, ყველაფერი ახლიდან იწყება, ახალი მწვერვალები ქომაგებთან ერთად უნდა დავიპყროთ, ყოველ თამაშზე გადავსებული „სან სიროს“ ხილვა ერთ რამედ ღირს.“

ფილიპო ინძაგი, თანაგუნდელების დარად, 20 ივლისს მილანელოში უნდა იყოს. „მილანის“ პირველი შეკრება და ვარჯიში ამ დღესაა დანიშნული: „შარშან ამ დროს გახურებული ვარჯიშები გვქონდა. პირველი მატჩი ჩემპიონთა ლიგის შესარჩევისა იყო ჩეხურ „ლიბერეცთან“. ვეთანხმები კარლო ანჩელოტის, ჩვენ ახლა უფრო მეტად თავდაჯერებულნი ვართ საკუთარ ძალებში, ვიცით, რა გვსურს და რა შეგვიძლია. სამი სათასო ფინალი გველის, „იუვენტუსთან“ იტალიის სუპერთასზე, „პორტუსთან“ ევროპის სუპერთასზე და „ბოკა ხუნიორსთან“ საკონტინენტთაშორისო თასზე. ბედნიერი ვიქნები, თუ სამივეს მოვიგებთ. უბედნიერესი კი აი, მაშინ ვიქნები, სეზონის ბოლოს სკუდეტოს თუ მოვიპოვებთ. მინდა, „მილანის“ შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონი გავხდე.“

ბოლოს კი ფილიპო ინძაგი „მილანის“ სატრანსფერო პოლიტიკას შეეხო და „რეალში“ გადასულ დევიდ ბექემსაც გადასწვდა: „ბრაზილიელი კაფუ მშვენიერი შენაძენია. თუ ჩვენთან ჰოლანდიელი იაპ სტამიც გადმოვიდა, მერწმუნეთ, იგი ჩვენს ისედაც ძლიერ და გაუვალ დაცვის ხაზს უფრო შეადუღაბებს. თუ ვერა და, არც ეგ იქნება ტრაგედია. რაც შეეხება დევიდ ბექემს, მინდა, გულწრფელად ვთქვა, რომ ყველაფერი, რაც ინგლისურ გაზეთებში დაიწერა, ტყუილია. მე არავისთან არ მილაპარაკია. მათი მონაჩმახი აბსურდია და მეტი არაფერი. პიპო ინძაგი არაა ის კაცი, ვინმეზე იქილიკოს და მის ზურგსუკან ლაპარაკობდეს.“

და მაინც, რა დაწერეს ინგლისურმა გაზეთებმა? დევიდი რომ „მილანში“ გადმოსულიყო, ჩვენს კლუბს ვერანაირ სარგებელს ვერ შემატებდაო.

გიორგი გუგაძიძე

სიტყვაძუნწი მუნჯი

კრისტიან ვიერის ცხოვრება და გარდერობი: ძალიან ბევრი ქალის საცვალი



კრისტიან ვიერის ქალები არ ელევა, თუმც ძველ სატრფოსთან, ელიზაბეტ კანალისთან შერიგებას აპირებს

185 სანტიმეტრია და 82 კილოგრამს იწონის. ავსტრალიაში დაიბადა და აპენინებზე უპოპულარულესი კაცია. რამდენიმე დღის წინ 30 წლისა მოიყარა. ტორტიც გაჭრა და ერთი ნაჭერი საკუთარი თვითმფრინავით მილანში ჩაფრენილ რონალდოსაც უწილადა.

70-იანი წლების დასაწყისში მამამისი, რობერტო ვიერი იტალიიდან აიბარგა და მწვანე კონტინენტზე ჩასახლდა. „ბობო“ ანუ კრისტიან ვიერი ავსტრალიაში დაიბადა. მამას თავის დროზე „სამპდორიაში“ და „ბოლონიაში“ უთამაშია.

პატარა „ბობო“ კრიკეტით და მძლეოსნობით ერთობოდა, მაგრამ სისხლმა ფეხბურთი მოითხოვა. „მე სერია A-ში და იტალიის ნაკრებში ვითამაშებ“ — სრული სერიოზულობით განუცხადა მამას 14 წლის კრისტიანმა. თვითმფრინავის ბილეთი აიღო და ისტორიულ სამშობლოს ეწვია. აპენინებზე დაბრუნებულმა ბოლონიაში პაპას მიაკითხა. რამდენიმე თვეში მოხუცი კინალამ გაალატაკა. დღეში ცხრამეტჯერ ავსტრალიაში მშობლებს ურეკავდა, პაპა კი სატელეფონო ანგარიშების გადახდას ვერ აუდიოდა.

მალე ფეხბურთმა, კოპწია იტალიურმა ავტომობილებმა და ქალებმა ნოსტალგია გაუქარვეს.

„ჩემს შვილზე ათასგვარი ჭორები მომისმენია — თქვა ფეხბურთელის დედამ ნატალი ვიერიმ (წარმოშობით ფრანგია) — ამბობენ, თითქოს იმ გოგონების საცვლებს აგროვებს, რომლებსაც საცვლებივით იცვლის. რა საშინელებაა! თუმცა, მახსოვს, ერთხელ მორიგმა სატრფომ ამანათით თავისი ტრუსი გამოუგზავნა. ეს კიდევ რაა, ნეტავ წაგაკითხათ, როგორი შინაასის წერილებს სწერენ 15 წლის გოგონები“

„ბობო“ მხოლოდ ქალებს როდი მოსწონთ, იგი სარეკლამოდაც გამოსადეგი კაცია. 2002 წელს საკუთარი ჯამაგირის გარდა 3 მილიონ 700 ათასი ევრო იშოვა. ამ მაჩვენებლით თვით ალესანდრო დელპიეროსაც კი გაუტოლდა.

გარდა ამისა, კრისტიან ვიერი და პაოლო მალდინი ერთობლივ საწარმოსაც ამუშავებენ, სადაც სამოსს კერავენ. „ბობო“ უძრავ ქონებას ლომბარდიაში და ტოსკანაში ფლობს, სიდნეიში და მილანში — რესტორნებს.

ის თავდამსხმელია, მაგრამ როცა საქმე მედიასთან ურთიერთობას ეხება, ყრუ დაცვაში მიიწევს. ამის გამო „დათვი“ შეარქვეს და ზოგჯერ „მუნჯსაც“ ეძახიან. რატომ არ ელაპარაკება ჟურნალისტებს ხშირად? ავსტრალიაში დაბადებულ-გაზრდილ კაცს ინგლისური უფრო ეხერხება, ვიდრე დედაენა და ამიტომაც სიტყვაძუნწობს. ისე, იტალიელთა თქმით, ბოლო ორ წელიწადში ლაპარაკს უხშირა, თუმცა ფეხბურთელის აზრით: „არა მგონია, ძალიან შევიცვალე. ლაქლაქი არ მიყვარს და ვამბობ მხოლოდ იმას, რასაც ვფიქრობ. შესაძლოა, ვიღაც-ვიღაცეებს ვაღიზიანებ და ამიტომაც მუნჯად მომნათლეს“.

„დათვი“ ხასიათითაც გამოირჩევა, ერთ ადგილზე გაჩერება უჭირდა. 1992-დან 1999 წლამდე ცხრა გუნდი გამოიცვალა. ინებეთ: „ტორინო“, „პიზა“, „რავენა“, „ვენეცია“, „ატალანტა“, „იუვენტუსი“, მადრიდის „ატლეტიკო“, „ლაციო“, „ინტერი“. ყოველ მათგანში თითო სეზონი გაატარა და მხოლოდ „ინტერში“ იპოვა ნავსაყუდელი. მეხუთე წელია ერთ კლუბშია — ეს კრისტიან ვიერის არ ჰგავს, მაგრამ ფაქტია.

„ის უძლიერესია მათ შორის, ვისთანაც მითამაშია“ — შეაქო ფრანჩესკო ტოლდომ — ნბა-ს გუნდში მაიკლ ჯორდანი რომ გყავდეს, დაახლოებით იგივეა“.

ჯორდანის ჯამაგირთან „ბობოს“ ხელფასი ვერ მივა, მაგრამ ბოლო შვიდი წლის მანძილზე მისი შემოსავალი 50-ჯერ გაიზარდა. ამჟამად „ინტერში“ ყოველწლიურად 5 მილიონ 400 ათას ევროს იჯიბავს.

ფული ფულად, მაგრამ იმიჯიც საჭიროა. ვიერის ეს კარგად ესმის და კაზანოვობას ალბათ შეეშვება. ოჯახის კაცის სახელის მოხვეჭა სურს და საამისოდ ძველ სატრფოსთან, ელიზაბეტ კანალისთან ურთიერთობების რეაბილიტაციას აპირებს. ვიერი-კანალის წყვილს იტალიაში ერთ-ერთ ულამაზესად მიიჩნევდნენ და თვითონაც ხვდებიან, რომ ერთად გაცილებით ძვირად ფასობენ, ვიდრე ცალ-ცალკე.

გაგა ხუციშვილი

გერმანული ტრანსფერები 2003

ბაიერნი

მოვიდნენ

რაუ (ვოლფსბურგი)
დემიკელისი (რივერ პლეიტი, არგენტინა)

წავიდნენ

ნ. კოვაჩი (ჰერტა)
ტარნატი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი)
ვესელსი (კიოლნი)
ფინკი (სარეზერვო გუნდში)
დრეერი (თამაში მიატოვა)

შტუტგარტი

მოვიდნენ

ვრანიეში (ლევერკუზენი)
საბიჩი (შტურმი, ავსტრია)
ლამი (ბაიერნი მ.)
კაკაუ (ნიურნბერგი)
რასიევსკი (ზანკტ პაული)
ჰაინენი (დენიზლი, თურქეთი)

წავიდნენ

განია (ბურსა, თურქეთი)
მათიას ლემანი (მიუნხენი)
თ. ერნსტი (კაიზერსლაუტერნი)
ზაიცი (შალკე)
ბალაკოვი (თამაში მიატოვა)
ტოდტი (თამაში მიატოვა)
კარნელი (მიონხენგლადბახი)
დანდი (აუსტრია, ავსტრია)

დორტმუნდი

მოვიდნენ

მ. მეცელდერი (მიუნსტერი)
ნ. იენსენი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი)
სენესიე (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ჰაინრიხი (კიოლნი)
ხ. ფერნანდესი (?, არგენტინა)

ჰამბურგი

მოვიდნენ

იაროლიმი (ნიურნბერგი)
რაინჰარდტი (არმინია)
ა. მაიერი (ზანკტ პაული)
ბაინლიხი (ჰერტა)
შლიკე (ფიურტი)
კ. სტრაიტი (მოყვარულთა გუნდიდან)
ბრიოკერი (მოყვარულთა გუნდიდან)
ლაასი (მოყვარულთა გუნდიდან)
სენი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ჰაინცი (ბანიკი, ჩეხეთი)
კრისტენსენი (ტვენტე, ჰოლანდია)
ჰერჩი (ლევერკუზენი)
მეიერი (ალემანია)
გროთი (ლიუბეკი)
ბაური (პაშინგი, ავსტრია)
ალბერტცი (შანხაი შენხუა, ჩინეთი)
ანტარი (ფრაიბურგი)
ჰილდებრანდი (ჰოფენჰაიმი)
კიცბიხლერი (აუსტრია, ავსტრია)
კეტელაერი (მიონხენგლადბახი)

ჰერტა

მოვიდნენ

ნ. კოვაჩი (ბაიერნი)
ბობიჩი (ჰანოვერი)
ვიშნიარეკი (არმინია)
ფატი (მოყვარულთა გუნდიდან)
ჩაჰედი (მოყვარულთა გუნდიდან)
ლუდვიგი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ალვეში (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
ბაინლიხი (ჰამბურგი)
მაასი (დუისბურგი)
პრეეცი (თამაში მიატოვა)
სვერისონი (?, ისლანდია)
კიოლერი (ესენი)
ნენე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტრეჩოკი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნედზიპი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ვერდერი

მოვიდნენ

დავალ უმითი (ინტერი, იტალია)
ისმაელი (სტრასბური, საფრანგეთი)
რაინკე (მურსია, ესპანეთი)
ველაგე (უნიონი)
როლფსი (როიტლინგენი)
ვუორინენი (ჯაზი, ფინეთი)

წავიდნენ

ვერლაატი (აუსტრია, ავსტრია)
ტიკუზუ (ჰანზა)
ვიერხოვსკი (პლოცკი, პოლონეთი)
ბარტენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)



ფრედი ბობიჩი ახლა „ჰერტას“ მაისურას მოირგებს

შალკე

მოვიდნენ

კობიაშვილი (ფრაიბურგი)
ალკიდესი (ბაია, ბრაზილია)
ზაიცი (შტუტგარტი)
ციომერი (ტვენტე, ჰოლანდია)
ჰამიტ ალტინტოპი (ვატენშაიდი)

წავიდნენ

ვილმოტსი (თამაში მიატოვა)
მიოლერი (თამაში მიატოვა)
ჰაიმეროტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
იუნლუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ვოლფსბურგი

მოვიდნენ

ტოპიჩი (კოტბუსი)
დალესანდრო (რივერ პლეიტი, არგენტინა)
გ. ფერნანდესი (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ჰრგოვიჩი (შიროკი ბრიაგი, ბოსნია)
იენჩი (მიუნხენი)
ა. სტრაიტი (აინტრახტი)

წავიდნენ

პ. მადსენი (ბოხუმი)
რაუ (ბაიერნი)
ეფენბერგი (ალ-არაბი, ყატარი)
პონტე (ლევერკუზენი)
ი. კრისტიანსენი (რეინჯერსი, შოტლანდია)
მ. მადსენი (ფარუმი, დანია)
დ. მუნტიანუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გრაინერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ბოხუმი

მოვიდნენ

პ. მადსენი (ვოლფსბურგი)
ბ. გუდიონსონი (სტოკი, ინგლისი)
ცდებელი (გენჩლერი, თურქეთი)
დიაბანგი (არმინია)
ბიონიგი (დუისბურგი)

წავიდნენ

რაისი (აუგსბურგი)
თ. კრისტიანსენი (ჰანოვერი)
გრაულუნდი (ორჰუსი, დანია)
შინდცილორცი (კიოლნი)
იოპე (უნიონი)
მანდრეკო (მატერსბურგი)

მიუნხენი

მოვიდნენ

კიუფნერი (ბურგჰაუზენი)
ლეპოინტი (ანდერლეხტი, ბელგია)
საარინენი (რუსენბორგი, ნორვეგია)
მათიას ლემანი (შტუტგარტი)
კენდრიკი (ნიუკასლი, ინგლისი)
ლენცი (კოტბუსი)
კიოიო (კიოლნი)
რიხტერი (იზმანინგი)
ბეიერი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

მაქსი (ჰანზა)
იენჩი (ვოლფსბურგი)
პფუდერერი (უნიონი)
რაფაელ და სილვა (ნიურნბერგი)
ელერსი (აუგსბურგი)
ჰესლერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვოტავა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შუკერი (თამაში მიატოვა)

გლადბახი

მოვიდნენ

კეტელაერი (ჰამბურგი)
სვერკოსი (ბანიკი, ჩეხეთი)
ოჯიგვე (ლევერკუზენი)
კოლკა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
კარნელი (შტუტგარტი)
კირხი (ფერლი)

წავიდნენ

ფელგენაუერი (აალენი)
ფორსელი (ჩელსი, ინგლისი)
კამპსი (თამაში მიატოვა)
ბაუმერი (მიუნსტერი)
ვიტეჩეკი (იურდინგენი)
კიუნცელი (არმინია)
მიუნხი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შტასინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ჰანზა

მოვიდნენ

პლასნეგერი (ვალდჰოფი)
მაქსი (მიუნხენი)
ტიკუზუ (მიუნხენი)
მელკამი (კარლსრუე)
შულცი (ფარუმი, დანია)
ბირანი (ტენის ბორუსია)

წავიდნენ

ჰირში (დუისბურგი)
იაკობსონი (ბრონდბიუ, დანია)
ვიბრანი (იოსტერი, შვედეთი)
ლანგე (თამაში მიატოვა)
სალუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლაუტერნი

მოვიდნენ

კოსოვსკი (ვისლა, პოლონეთი)
ნურმელა (ჰერენვენი, ჰოლანდია)
ჰალილ ალტინტოპი (ვატენშაიდი)
თ. ერნსტი (შტუტგარტი)
ვრევენი (უტრეხტი, ჰოლანდია)
გაბრიელი (ტეპლიცე, ჩეხეთი)
ვიტიხი (მოყვარულთა გუნდიდან)
მიხაელ ლემანი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ჰ. კოხი (ტრირი)
ბასლერი (ალ-იტიჰადი, ყატარი)
ტ. კლოსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
აჯიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გ. კოხი (კონტრაქტი დაუმთავრდა)



ბუნდესლიგაში დაბრუნებულმა „კიოლნმა“ შარშანდელი ჩემპიონი იორგ ჰაინრიხი დაიმატა

ჰანოვერი

მოვიდნენ

შიმაკი (ლევერკუზენი)
ბრდარიჩი (ლევერკუზენი)
დაბროვსკი (არმინია)
ციგლერი (აუსტრია, ავსტრია)
შრიოტერი (კოტბუსი)
თ. კრისტიანსენი (ბოხუმი)
პფინგსტენი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ბობიჩი (ჰერტა)
პოპესკუ (თამაში მიატოვა)
კ. ლინკე (თამაში მიატოვა)
ოსვალდი (დუისბურგი)
ნორბაუერი (ზაარბრიუკენი)
კეისი (კარლსრუე)
სივერსი (თამაში მიატოვა)
ვან ჰინტუმი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შულერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ოხსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლევერკუზენი

მოვიდნენ

კრჟინოვეკი (ნიურნბერგი)
ბერბეროვიჩი (სარაევო, ბოსნია)
ლუკიჩი (ლიდსი, ინგლისი)
ჰერჩი (ჰამბურგი)
ჯ. ჯოუნსი (აინტრახტი)
პონტე (ვოლფსბურგი)
ფრიცი (კარლსრუე)

წავიდნენ

შიმაკი (ჰანოვერი)
ბრდარიჩი (ჰანოვერი)
ვრანიეში (შტუტგარტი)
ბ. ჟივკოვიჩი (პორტსმუთი, ინგლისი)
ცეპეკი (კარლსრუე)
კრისი (კრუზეირო, ბრაზილია)
კლაინი (ფიურტი)
ოჯიგვე (მიონხენგლადბახი)
ელ კასმი (დუისბურგი)

კიოლნი

მოვიდნენ

ჰაინრიხი (დორტმუნდი)
დოგანი (ფენერბაჰჩე, თურქეთი)
ვორონინი (მაინცი)
შინდცილორცი (ბოხუმი)
ებერსი (დუისბურგი)
ვესელსი (ბაიერნი)
პოლაკი (იზმანინგი)
ნიდრიგი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ცელვეგერი (სენტ გალენი, შვეიცარია)
კურტი (დუისბურგი)
კროიცი (აინტრახტი)
პრიოლი (აინტრახტი)
კიოიო (მიუნხენი)
უედრაოგო (ობერჰაუზენი)
ა. არველაძე (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ფრაიბურგი

მოვიდნენ

ანტარი (ჰამბურგი)
კაირო (ტვენტე, ჰოლანდია)
კრუპკე (ლიუბეკი)
ჰოლმანი (მოყვარულთა გუნდიდან)
გიასულა (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

კობიაშვილი (შალკე)
კრუზე (დუისბურგი)
ანიჩიჩი (დარმშტადტი)
დრეიერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

აინტრახტი

მოვიდნენ

ჩიპი (გენტი, ბელგია)
დუ რი ჩა (არმინია)
პრიოლი (კიოლნი)
ლექსა (ტენერიფე, ესპანეთი)
კროიცი (კიოლნი)
ფრომერი (როიტლინგენი)
პულიში (ჰაიდუკი, ხორვატია)
დრაგუშა (ტრირი)
ვაისენფელდი (მოყვარულთა გუნდიდან)

წავიდნენ

ვივიანი (გრემიო, ბრაზილია)
ჯ. ჯოუნსი (ლევერკუზენი)
ვენცელი (აუგსბურგი)
დიაკიტე (ნიცა, საფრანგეთი)
ა. სტრაიტი (ვოლფსბურგი)
კრიშალოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბრანკო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

დღეიდან კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. I ტური						
		17 ივლისი						
21.00	005	ბრეგენცი-ზალცბურგი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
		შვედეთი XIV ტური						
		17 ივლისი						
22.00	028	აიკ-გიოტებორგი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
23.00	029	იორგრიტე-იურგორდენი	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38
		21 ივლისი						
22.00	030	ჰელსინგბორგი-ჰამარბი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
22.00	031	მალმიო-ელფსბორგი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	032	მალმიო-ელფსბორგი 0:1	1,95	3,2	2,6			
		ნორვეგია XIII ტური						
		19 ივლისი						
19.00	036	მოლდე-სოგნდალი	2,1	3,4	3,1	1,29	1,25	1,62

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		20 ივლისი						
21.00	037	ბოდიო გლიმტი-ოდ გრენლანდი	2,0	3,5	3,2	1,27	1,23	1,67
21.00	038	სტაბეკი-ვიკინგი	2,15	3,4	3,0	1,31	1,25	1,59
21.00	039	ბრინი-ალესუნდი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
21.00	040	ტრომსიო-რუსენბორგი	6,0	3,8	1,5	2,32	1,2	1,07
21.00	041	ლილესტრიომი-ლინი	2,15	3,4	3,0	1,31	1,25	1,59
		21 ივლისი						
22.00	042	ვოლერენგა-ბრანი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		ფინეთი. XIII ტური						
		17 ივლისი						
20.30	044	კუოპიო-ტურკუ	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
20.30	045	ტამპერე-მიუპა	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
		19 ივლისი						
19.00	046	ჯაზი-პიკ	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14
		გერმანია. ლიგის თასი						
		17 ივლისი						
23.30	054	ჰამბურგი-ჰერტა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4

ფორმულა 1. დიდი ბრიტანეთი. 19 ივლისი. (12.00)

4001 გამარჯვებული		სამეული		ექვსეული		4002 უსწ. წრე
მ.შუმახერი	2,5	4101	1,25	4201	1,12	2,5
ბარიკელო	12.0	4102	2,8	4202	1,3	8,0
რაიკონენი	5.6	4103	1,7	4203	1,25	4,4
მონტოია	4.0	4104	1,55	4204	1,25	4,4
კულტჰარდი	12,0	4105	3,4	4205	1,45	12,0
რ.შუმახერი	3,6	4106	1,4	4206	1,2	3,6
ალონსო	25.0	4107	4.6	4207	1,5	20,0
ტრული	40.0	4108	7,5	4208	2,0	40,0
ბატონი	75,0	4109	15,0	4209	2,8	75,0
ვილნევი	100.0	4110	20,0	4210	4,0	100,0
ფიზიკელა	100.0	4111	20,0	4211	4,0	100,0
პანისი	100.0	4112	20.0	4212	4,0	100,0
ვებერი	75.0	4113	15,0	4213	2,6	75,0
ფრენცენი	100.0	4114	25,0	4214	4,0	100,0
ჰაიდფელდი	100.0	4115	25,0	4215	4,0	100,0
და მატა	100.0	4116	25,0	4216	4,0	100,0

4301 გამარჯვებული გუნდი	
ფერარი	2,05
მაკლარენი	3,8
უილიამსი	1,85
რენო	15,0
ზაუბერი	50,0
ბარ	40,0
ტოიოტა	50,0
ჯორდანი	50,0
იაგუარი	40,0
მინარდი	200,0

sportsbook infoworld p2p

გეიმბუკერსი (ინგლისი - ავსტრია)

ავსტრია. მაქსბუნდესლიგა			
I ტური			
17 ივლისი			
ბრეგენცი — ზალცბურგი	2,5	3,15	2,5
ფინეთი. XIII ტური			
17 ივლისი			
კუოპიო — ტურკუ	2,35	3,1	2,65
ტამპერე — მიუპა	2,4	3,15	2,55
ნორვეგია. XIII ტური			
19 ივლისი			
მიოლდე — სოგნდალი	2,0	3,55	2,95
20 ივლისი			
ბოდიო გლიმტი — ოდ გრენლანდი	2,08	3,55	2,8
ბრინი — ალესუნდი	1,65	3,7	4,1
ლილესტრიომი — ლინი	2,08	3,4	2,9
ტრომსიო — რუსენბორგი	5,0	4,0	1,48
სტაბეკი — ვიკინგი	2,1	3,5	2,8
21 ივლისი			
ვოლერენგა — ბრანი	1,65	3,4	4,5
შვედეთი. XIV ტური			
17 ივლისი			
აიკ — გიოტებორგი	1,75	3,5	4,0
იორგრიტე — იურგორდენი	2,6	3,25	2,4

interwetten .com

ინტერვეტენი (ავსტრია)

ამხანაგური მატჩები			
17 ივლისი			
ფულემი (ინგლისი) — სელტიკი (შოტლანდია)	2,2	3,2	2,4
გერმანიის ლიგის თასი			
ნახევარფინალი			
17 ივლისი			
ჰამბურგი — ჰერტა	2,7	3,0	2,3
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა			
I ტური			
17 ივლისი			
ბრეგენცი — ზალცბურგი	2,7	3,0	2,3
შვედეთი. XIV ტური			
17 ივლისი			
აიკ — გიოტებორგი	1,75	3,1	3,6
იორგრიტე — იურგორდენი	2,35	3,0	2,35
ფინეთი. XIII ტური			
17 ივლისი			
კუოპიო — ტურკუ	2,4	2,9	2,4
ტამპერე — მიუპა	2,3	2,9	2,5

WETTBÜRO Jeder kann gewinnen SCHWECHAT

ვეტენ შვეჰატი (ავსტრია)

გერმანიის ლიგის თასი			
ნახევარფინალი			
17 ივლისი			
ჰამბურგი — ჰერტა	2,4	3,2	2,3
ფინეთი.			
XIII ტური			
17 ივლისი			
კუოპიო — ტურკუ	2,3	3,2	2,4
ტამპერე — მიუპა	2,4	3,0	2,4
ავსტრია			
მაქსბუნდესლიგა.			
I ტური			
17 ივლისი			
ბრეგენცი — ზალცბურგი	2,4	3,2	2,3
შვედეთი.			
XIV ტური			
17 ივლისი			
აიკ — გიოტებორგი	1,7	3,4	3,6
იორგრიტე — იურგორდენი	2,4	3,2	2,3

William HILL

უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

ამხანაგური მატჩები

17 ივლისი

ფულემი (ინგლისი) — სელტიკი (შოტლანდია)	2,87	3,3	2,1

18 ივლისი

ლაციო (იტალია) — ჩელსი (ინგლისი)	2,1	3,2	3,0

გერმანიის ლიგის თასი. ნახევარფინალი. 17 ივლისი

ჰამბურგი — ჰერტა	2,75	3,2	2,25

ფინეთი. XIII ტური. 17 ივლისი

კუოპიო — ტურკუ	2,4	3,3	2,4
ტამპერე — მიუპა	2,4	3,3	2,4

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

ეროვნულ ბიბლიოთ.

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	აღმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია	
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

ცქიტიშვილი იმიჯზე მუშაობს

ნიკამ დალასს 22 ქულა ჩაუგდო



ნიკა ცქიტიშვილი საზაფხულო ლიგაზე ათამაშდა

ლონგბიჩური კემპის მორიგ მატჩში ნიკა ცქიტიშვილმა შედეგიანობის რეკორდი დაიმყარა. „დენვერმა“ „დალასი“ 109:95 დაამარცხა, ქართველმა თავდამსხმელმა კი 22 ქულა მოიხვეჭა.

ცქიტიშვილს, რომელმაც სადებიუტო სეზონი დრაფტის მე-5 ნომრისთვის შეუფერებლად ჩაატარა, თავსაყრელი სათამაშო დრო მიეცა ახალბედათა გამოსაცდელ მატჩებში. ნიკას ჯერაც დასამტკიცებელი აქვს თავისი ძალა, როცა დენვერელთა მეორე ახალბედამ, შარშანდელ დრაფტზე მე-7 ნომრად არჩეულმა ნენე ილარიომ უკვე შეიქმნა ძლიერი მოთამაშის იმიჯი და კალიფორნიულ ლონგ ბიჩში ბურთაობის ნაცვლად პლაჟზე კოტრიალობს.

ნიკა კი დარბის, თანაც ბევრს, მან „დალასთან“ მატჩში 38 წუთში 22 ქულასთან ერთად ახალგათავდამსხმელებული მოთამაშის კვალობაზე არცთუ ცოტა, 8 მოხსნა მოაგროვა. მისი სტატისტიკური მაჩვენებლებიდან გამოსარჩევია 3 დაფარებაც, რაც იმ მატჩში საუკეთესო შედეგი იყო.

ცქიტიშვილმა ყოჩაღად ითამაშა კემპის პირველი მატჩიც „მემფისის“ წინააღმდეგ, ანუ მისი ერთწლიანი გამოცდილება უკვე საკმარისია საიმისოდ, რომ მასავით ნბა-ში დასამკვიდრებლად მებრძოლ ახალბედათა შორის გამოირჩეს.

მთელი ზაფხული მოვარჯიშე ცქიტიშვილს სეზონის დაწყებამდე კიდევ მრავალი ათეული წუთის გატარება მოუწევს მოედანზე, მაგრამ მას ეს ოფლდენა ორლანდოელ ზაზა ფაჩულიასგან განსხვავებით, ძირითადში დასამკვიდრებლად კი არ სჭირდება, არამედ თამაშის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ბოლოს და ბოლოს ნიკამ მასზე გაცემული ავანსების ნახევარი მაინც გაამართლოს.

დღეს, გამთენიისას, „დენვერი“ „ჰიუსტონს“ ეთამაშა.

ირაკლი პერტაია



კარლ მელოუნმა კარიერაში პირველად გამოიცვალა კლუბი

ლეიკერსმა ამოისუნთქა და დაიძინა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ გენერალურ მენეჯერ მიჩ კუპჩაკს ეს ერთი კვირა ძალიან ცუდად ეძინა. ცუდი სეზონის და ჩემპიონობის დაკარგვის შემდეგ შესაძლოა, გუნდში წმენდა დაწყებულიყო და კუპჩაკი თავს დაცულად არ თვლიდა. რეფორმები პირველ რიგში მას შეეხებოდა, რაკი „ლეიკერსში“ ახალი არავინ მიუყვანია, ყველა მოთამაშე მას იქ დახვდა, როცა წინამორბედი ჯერი ვესტის ადგილზე დაინიშნა.

ამ სიტუაციაში კუპჩაკს ჰაერივით სჭირდებოდა ერთი-ორი კარგი ტრანსფერი, თანაც ხარისხიანი, მაგრამ იაფად ბიჭები და სწორედ მის ბედზე გამოჩნდნენ ასეთები. „ლეიკერსი“ ჯერაც საჩემპიონო ამბიციის გუნდია და სწორედ ჩემპიონობის სურვილმა მოიყვანა ამ გუნდში ორი ბებერი ვარსკვლავი — კარლ მელოუნი და გერი პეიტონი, ამასთან ორივე უპრობლემოდ დათანხმდა, აელო გაცილებით ცოტა ვიდრე, მანამდე იღებდა. 39 წლის კარლ მელოუნმა, რომელიც ამ თვეში 40-ის სრულდება, წლიურად 1,5 ნახევარი მილიონი არ დაიწუნა. არადა ის ძველ გუნდ „იუტა ჯაზში“ ბოლო სეზონში 19 მილიონზე მეტს იღებდა.

პეიტონიცა და მელოუნიც წინასწარ მოურიგდნენ კუპჩაკს, რადგან ნბა 16 ივლისამდე კრძალავდა თავისუფალ აგენტთა და კლუბთა შორის ყოველგვარი ოფიციალურ შეთანხმებას. ჰოდა, სანამ 16 ივლისი დადგა, მიჩ კუპჩაკს თავისი დაემართა. მან 15 ივლისსვე მოამზადა და ყველა საჭირო დოკუმენტი დაიბარა პეიტონი და მელოუნი თავიანთი აგენტებითურთ, დაუძახა „ლეიკერსში“ თავის დიდ-დიდ თანამშრომლებსაც და ყველანი კაფეში წაასხა. მთელი ეს ჯგუფი შუადამდე იცდიდა და როცა 16 ივლისი ოფიციალურად დადგა და „ლეიკერსის“ ლოგოთი დამშვენებულ კონტრაქტებზე ორი სუპერმოთამაშის ხელმოწერები აღიბეჭდა, კუპჩაკმა შვებით ამოისუნთქა.

„შემდეგ ჩვენ მსუბუქად დავლიეთ და მიჩი ერთი-ორი საათით წასაძინებლად წავიდა. ამ დღეებში მას საერთოდ არ ეძინა“ — თქვა „ლეიკერსის“ სხვა დიდმოხელემ ჯონ ბლექმა.

მაშ ასე, ახალგაფორმებული კონტრაქტის თანახმად, კარლ მელოუნი, რომელსაც 18 წელიწადი უთამაშია „იუტა ჯაზში“, ორი წლით დაიჭერს ადგილს „ლეიკერსის“ ფარქვეშეთში ვეება შაკილ ონილის გვერდით. პირველ სეზონში ოდნავ მეტს 4,9 მილიონს აიღებს გერი პეიტონი, მიუხედავად იმისა, რომ სულ ცოტა, 10 მილიონი მაინც „ღირს“. მაგრამ როგორც ზემოთაც ვთქვით, მოთამაშეებს ჩემპიონობა სურთ და ფულს არ დაგიდაკენ.

გაიჩარხა სხვა გარიგებებიც. მაგალითად, „მინესოტა ტიმბერვულვზის“ სლოვენიელი ცენტრი რაშო ნესტეროვიჩი სიტყვიერად შეუთანხმდა „სან ანტონიო სფურზს“ და მალე ხელსაც მოაწერს ნბა-ს ჩემპიონთან ექვსწლიან და 42-მილიონიან კონტრაქტს, „მინესოტას“ არ ეთმობოდა ესოდენ საჭირო თავისუფალი აგენტი და ნესტეროვიჩს შვიდწლიან და 50-მილიანიან თანამშრომლობას სთავაზობდა, მაგრამ ახლა ნბა-ში ასეთი ტენდენციაა, ბიჭები საჩემპიონო ოქროს სუნს უფრო მიჰყვებიან და არა მატერიალურს. ნესტეროვიჩი სავარაუდოდ კალათბურთიდან წასული ლეგენდის, დევიდ რობინსონის ადგილს დაიჭერს „სფურზის“ დამწყებ ხუთეულში.

ისე, „მინესოტაც“ არ დარჩა წაგებული. რა გაირკვა, ნესტეროვიჩი მიდისო, „მგლების“ შეფი კევინ მაკჰეილი კლიმპერსელი თავისუფალი აგენტის, 216-სანტიმეტრიან ნიგერიელის, მაიკლ ოლოვოკანდის გადმობირებას შეუდგა და ეს საქმე უკვე მოამთავრა კიდეც. ნესტეროვიჩი მალე ხელს მოაწერს სამწლიან და 16,2 მილიონიან კონტრაქტს და თუ ტრავმებმა არ შეაწუხა, ვინძლო ნესტეროვიჩზე მეტადაც ასარგებლოს მინესოტელი „მგლები“.

კოტე ყორღია

როგორც მოიყვანე, ისე მოუარე!

ნეშს რაშიდ ვოლესი და პორტლენდი მიაჩეჩეს

რომელი კლუბის გენმენეჯერობაა ყველაზე ძნელი? რა თქმა უნდა, „პორტლენდის“. ამ გუნდში არაერთი შფოთისთავი და უდისციპლინო კალათბურთელი თამაშობს და მიუხედავად ყველაზე უხვი სახელფასო ფონდისა, პორტლენდელები მ ბოლო ხანს მნიშვნელოვანი წარმატებებით ვერ დაიკვეხნიან. „ბლეიზერების“ აბურდული საქმეების მოგვარება ვის არ შესთავაზეს, მაგრამ საბოლოოდ ეს ტვირთი გენმენეჯერობაში ჭიპმოჭრილმა და მრავალი საქმის მომკვარახჭინებელმა ჯონ ნეშმა ითავა.

ეს ამბავი გუშინწინ გახმაურდა. „პორტლენტის“ პრეს-ატაშე მაიკ ჰენსონმა განაცხადა, ოთხშაბათს ნეში გენმენეჯერად ოფიციალურად გაფორმდებაო



გადარეულ რაშიდ ვოლესს ახალი უფროსი ეყოლება

პორტლენდელთა ხელმძღვანელობა დიდხანს ეძებდა ძველი გენმენეჯერის, უნიათო ბობ უიტსიტის შემცვლელს და ამ პოსტს ნიუჯერსელ ედ სტეფანსკის, დეტროიტელ ჯონ ჰამონდსა და ბოსტონელ კრის უოლესს სთავაზობდა. საბოლოოდ ვერც ერთის დაყაბულება ვერ მოხერხდა. ბოლოს „პორტლენდის“ საქმეთა გაძღოლა ჯონ ნეშმა ითავა.

ოდესაც ნეში „ფილადელფიის“ მატჩების ტელემიმომხილველი იყო, თუმც მისმა საკალათბურთო აზროვნებამ იმხელა გასაქანი ჰპოვა, რომ მალე ფილადელფიელთა გენმენეჯერიც გახდა. სხვათა შორის, „პორტლენდის“ ამჟამინდელი მწვრთნელი მორის ჩიკსი „ფილადელფიაში“ თამაშობდა მაშინ, როცა ნეში ამ კლუბის საქმეებს უძღვებოდა. ხოლო „პორტლენდში“ ჩიკსის ახლანდელი თანაშემწე ჯიმ ლინამი სწორედ ნეშს მიუყვანია იმდროინდელ „ფილადელფიაში“ მთავარ მწვრთნელად.

ნეშს და „პორტლენდს“ კიდევ ერთი რამ აკავშირებთ — ცნობილი ბუნტისთავი რაშიდ ვოლესი. ვოლესი სწორედ ნეშის აყვანილია დრაფტზე, როცა ის „ვაშინგტონს“ გენმენეჯერობდა. ახლა კი ვოლესს ნეში დაუყენეს უფროსად, თითქოს უთხრეს, ეს გაუზრდელი და ნერვებს აყოლილი კაცი შენი მოყვანილია ნბა-ში და როგორც გინდა, ისე მოუარეო.

აქვე გთავაზობთ მოურჯულებელი პორტლენდელების ბოლო თვეების დანაშაულებს:

— დეიმონ სტუდემაიერს ახლახან მარიხუანა უპოვეს და ჯერაც სასჯელის მოლოდინშია. სტუდემაიერი კლუბმა უკვე დაჯარიმა 250 ათასი დოლარით. ბოლო 16 თვეში სტუდემაიერი უკვე მესამედ დაიჭირეს ერთი და იმავე დანაშაულის — მარიხუანას შენახვა-მოხმარების მიზეზით.

— ასევე მარიხუანას მოხმარებისთვისვე დააკავეს რაშიდ ვოლესი და კუინტელ ვუდსი.

— რუბენ პატერსონი ოჯახის წევრთა მიმართ ძალადობისთვის დააპატიმრეს, თუმც საბოლოოდ გამართლეს.

— მოედანზე ჩხუბისთვის ორჯერ გამოუწერეს ფულადი ჯარიმა და დისკვალიფიკაცია ბონზი ველსს.

— თამაშის შემდეგ მსაჯებთან ჩხუბისთვის დისკვალიფიკაცია მისცეს რაშიდ ვოლესს.

— ვარჯიშზე ჩხუბისთვის ზაჩ რანდოლფმა და რუბენ პატერსონმა ფულადი ჯარიმა და დისკვალიფიკაცია დაიმსახურეს... ალბათ საკმარისია, არა?

აი, ასეთ გუნდში გაყო თავი ჯონ ნეშმა.

ირაკლი პერტაია

ქართულ კალათბურთს დღეს გვარიანად კი უჭირს, მაგრამ ერთი რამ უდავოა — ნიჭიერი ახალგაზრდები არ გვაკლია. ევროპაში და ოკეანგაღმა გაბნეულ ქართველ თინეიჯერებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამის დასტურად ახლახან კატალონიაში დასრულებულ ახალგაზრდა კალათბურთელთა საერთაშორისო კემპზე ორი ჩვენებურის — ტატო ჩაჩიბაიასა და ლაშა დევიძის წარმატებებიც გამოდგება

მუჩაჩო, იფიქრე ნბა-ზე

კატალონიაში ლაშა და ტატო შეგვიქეს



ლაშა დევიძე და ტატო ჩაჩიბაია

ფოტო ფიფიანის

კატალონიური კემპი ტრადიციულია და წლეულს მეჩვიდმეტედ მოეწყო. მასში 60-მდე 13-14 წლის ბიჭები მონაწილეობდნენ და ცნობილი ესპანელი მწვრთნელებისგან ბევრი საჭირო რამ შეითვისეს. კემპი კატალონიის სამთო კურორტ სოლსონაში 5-დან 15 ივლისამდე მიმდინარეობდა.

ქართველი ახალგაზრდების ამ კემპში მონაწილეობა საქართველოსა და ესპანეთის კალათბურთის ფედერაციების თანამშრომლობის შედეგია. ჩვენმა მხარემ სურვილი გამოთქვა, ესპანელების მიერ შემოთავაზებულ პროგრამაში მიეღო მონაწილეობა და შედეგად ქართველი ახალგაზრდებისთვის ორი ადგილი გამოიყო კატალონიურ კემპში. შერჩევა კი თავად ესპანელებმა ითავეს, მათ ჩვენმა ფედერაციამ ათი შედარებით გამორჩეული კალათბურთელის მონაცემები გაუგზავნა, საიდანაც შეირჩნენ კიდეც ლაშა დევიძე და ტატო ჩაჩიბაია.

202-სანტიმეტრიანი ლაშა დევიძე თერჯოლელია და დღეს რომ კალათბურთს თამაშობს და წარმატებითაც, „მართვეს“ მწვრთნელ ნიკო ჩერქეზიშვილის დამსახურებაა. ჩერქეზიშვილს 12 წლის დევიძე ორი წლის წინ სოფელში უნახავს და, ეს რამხელა ყოფილხარ, წამო, თბილისში კალათბურთი უნდა გათამაშო, უთქვამს. დევიძეც დაყაბულდა, ჩერქეზიშვილის „მართვეში“ დაიწყო ვარჯიში და აგერ, ესპანეთიც ნახა და იმ სამოც თანატოლში, სოლსონურ კემპზე რომ შეიყარნენ, საუკეთესო მოთამაშის პრიზიც დაისაკუთრა.

ვარჯიშები კემპის ერთი ნაწილი იყო, სხვადასხვა თეორიულ მეცადინეობასთან ერთად კატალონიაში ტურნირიც მოეწყო, 60 ბიჭი 7 გუნდში გადანაწილდა და ჩემპიონიც გამოვლინდა. სწორედ ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა ლაშა დევიძე, რომელმაც თავისი გუნდის გაჩემპიონებაში დევის წილი დაიდო.

ჩაჩიბაიას გუნდი კი სამეულშიც ვერ მოხვდა, მაგრამ ტატომ ტურნირის ყველაზე პერსპექტიული მოთამაშის პრიზი დაიმსახურა. ესპანელებს უთქვამთ, ამ პრიზს იმას ვაძლევთ, ვისაც ნბა-ში მოხვედრის ყველაზე დიდი შანსი აქვსო.

196 სანტიმეტრი სიმაღლის ჩაჩიბაია 13 წლისაა, ის „ჯოლხას“ მწვრთნელმა ვაჟა კვარაცხელიამ ზუგდიდის ბავშვთა გუნდიდან შეიმატა.

ლაშა და ტატო ესპანელებმა სექტემბრისთვის დაიბარეს, კიდევ ერთხელ გამოგცდით და ალბათ ორი-სამი წლით სავარჯიშოდ დაგიტოვებთო.

ირაკლი ბერტაია

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49

შენ დარჩები



ეს დღეებია, ქართული რაგბი ჭირისუფალია, თმაშევერცხლილ მორაგბეთა საძმოს თავი ჩაუხრია, სალმის ნაცვლად ერთმანეთს სამძიმარს ვეუბნებით...

ეს რა მოხდა... დაჯერება არ გინდა...

კაცი კაცური, კაცი გულიც და ჭკუისსაკითხავიც, კაცი გამგები, კაცი შემნდობი, კაცი სპორტსმენი, კაცი მორაგბე, კაცი ძმა...

და ეს ყველაფერი სრულად, თხემით ტერფამდე.

დღეს ქართული რაგბი ეთხოვება ტრაგიკულად დაღუპულ ოლეგ ლიპარტელიანს, წლეულს რომ გადაიხადა ქართველ მორაგბეთა არაერთი თაობის შემყრელი 50 წლის ძმური იუბილე. ეთხოვება თავის ღვიძლ შვილს, გამორჩეულად საყვარელსა და დაფასებულს. ეს გამორჩეულობა კი ოლეგ ლიპარტელიანმა დაიმსახურა იმით, რომ მართლაც გამორჩეულად დაიხარჯა ქართულ რაგბიში და დაიხარჯა არა მხოლოდ როგორც სპორტსმენი. მისთვის კაცობა და რაგბი ანუ ყოველწუთიერი ჭიდილი და ტკივილთა თმენა ცალ-ცალკე არ არსებულა. დიდი მორაგბე მოედანზე დიდი კაციც იყო, ცხოვრებაში კი მისგან სპორტს არა და არ ეღალატებოდა. ამიტომაც იყო მდიდარი კეთილისმსურველებით და მეგობრებით ცხოვრებაში და ტიტულებით სპორტში. მუდამ გულგახსნილი, მაგრამ შეუვალად ავტორიტეტული, თავისი სიტყვის მთქმელი კაცის სპორტული მონაგარი დღესაც სამაგალითოა ქართულ რაგბიში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში, თბილისის „ლოკომოტივსა“ და ქუთაისის „აიაში“ მოთამაშე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ხომ იყო და, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონობასაც შესწვდა, საკავშირო თასის მომგების ტიტულიც მიუთვლია და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული და პირველი ნაკრებების წევრიც იყო. 1989 წელს კი, ზიმბაბვეს ნაკრებთან ისტორიული მატჩისას, სწორედ მან უკაპიტნა ახალშექმნილ ბორჯღალოსანთა გუნდს.

ოლეგ ლიპარტელიანი ლეგენდა იყო და ლეგენდად დარჩება. დარჩება მისი განუმეორებელი პიროვნული ხიბლიც და თაობებისთვის სამაგალითო სპორტული წარჩინებაც. ვაი, რომ დარჩება უმისობის სევდაც და ის ტკივილიც, რომელსაც დაამება არ უწერია.

მშვიდობით, ძმაო...

ვეტერანი მორაგბეები

ვანეკმა კოსტა არ გვანახა

MERCEDES CUP
შტუტგარტი. თიხნარი
საპრიზო 765 ათასი ევრო

პირველი წრე

ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:4, 7:5; ფილიპო ვოლანდრი (იტალია) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:0, 3:0 სანჩესმა შეწყვიტა; რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — ფილიპ პეცნერი (გერმანია) 7:5, 6:1; დავიდ ფერერი (ესპანეთი) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 7:6 (7:3), 6:4

მეორე წრე

გილერმო კორია (2, არგენტინა) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 7:5, 6:3; ფელისიანო ლოპესი (7, ესპანეთი) — ფელიციანო მანტია (ესპანეთი) 1:6, 6:3, 7:6 (9:7); ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) — ალბერტ კოსტა (8, ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:3; იუნეს ელ აინაუი (10, მაროკო) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 7:6 (7:4), 6:4; ტომას ბეპერენდი (გერმანია) — კარლოს მოია (1, ესპანეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:1); ირჟი ნოვაკი (5, ჩეხეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:4, 6:4; ფილიპო ვოლანდრი (იტალია) — სებასტიან გროჯანი (4, საფრანგეთი) 6:2, 6:1

უიმბლდონობას გამოკლებული ალ კოსტა კორტს შტუტგარტის თიხნარზეღა მოუბრუნდა.

ნეტავ, არ მობრუნებულიყო — უსახელო ჩეხმა ირჟი ვანეკმა ის ორ სეტშივე ჩაატრიალა.

ბარემ აქვე ვთქვათ: შარშანდელი როლანგაროსოსანი ალ კოსტა 5 თვის განმავლობაში ტრავმირებულ მუხლს მკურნალობდა და კორტზე მას შემდეგ არ გასულიყო, რაც რომ წლევანდელი როლანგაროსობის ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ ხუან კარლოს ფერეროსთან დამარცხდა.

რაც შეეხება ვანეკს, მისი საუკეთესო აქამომდელი საეიტიპიო შედეგი წლეულს ვინადელმარულ მეოთხედფინალამდე ბულრაობა იყო.

ჰო, მას არაფერი მოუგია, ლიუბლიანური ჩელენჯერის გარდა.

სხვაფრივ:

ორი 21-წლიანის — მეორედ განთესილი გილერმო კორიასა და ფრანგის, პოლ-ანრი მათიოს შეხლა გაუჩოს გამარჯვებით დასრულდა. კორიამ, ვინაც მათიოს აქამდე ხშირად გადაყრია და ხშირადვე წაუქცევია, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ თიხაზე შეუდარებელი მოჩოგნავეა.

მეორე წრეში გავიდა 17 წლის ვუნდერმუჩაჩო რაფაელ ნადალიც, ვინაც უსახელო გერმანელ ფილიპ პეცშნერს გასცდა.

შეგახსენებთ, რომ ნადალს აქამდე წლეულს სწორედ კოსტა, კიდევ ერთი ოდინდელი როლანგაროსოსანი კარლოს მოია და მარიოკელი ჯეელი იუნეს ელ აინაუი დაუჩოგნია.

მერსედესტურნირის მეორე წრეში ესე ამბებიც მოხდა: გერმანელმა ტომას ბერენდმა, ვისაც ცხოვრებაში არ მოეგო ზეათეულელისთვის, ყოფილ პირველ ჩოგანს და ამ ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ კარლოს მოიას სძლია.

კიდევ ერთი ბობოლა, უიმბლდონის ნახევარფინალისტი, ფრანგი სებასტიან გროჯანი კი იტალიელმა ფილიპო ვოლანდრიმ ჩაჩოგნა.

ლევან კელაურაძე



REUTERS ფოტოარქივიდან

კარლოს მოია საიდანღაც „გამომტყვრალმა“ ტომას ბერენდმა გააგდო

ზღვისკენ მიპყრობილი მზერა



ძველბერძნული ტრიერა. მაკეტი



ნიჩბოსნები. ანტიკური ბარელიეფი



ათენის ანტიკური სტადიონი

პანელინური ზეიმების მემატიანენი, მათ შორის ანტიკური ხანისა და თანამედროვე ავტორებიც, ოთხ ძირითად სპორტულ თამაშებს გამოყოფენ. ესენია: ოლიმპიური, პითიური, ისთმიური და ნემეური თამაშები. ისინი, ჩვენი აზრით, სრულიად დაუმსახურებლად ჩაგრავენ და უგულებელყოფენ პანათენურ თამაშებს. პირველი ოთხი ზეიმი თუ მეტნაკლებად გავს ერთმანეთს და მათ საერთო უფრო მეტი აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი, პანათენური თამაშები სრულიად გამორჩეულად გვესახება.

ამ ზეიმთაგან ოლიმპიური ასპარეზობანი სპორტული პაექრობებით უფრო გამოირჩეოდა, პითიური ხელოვანთა კონკურსებით ამაყობდა, ნემეური ორივე სფეროს თანაბრად აფასებდა, ისთმიური ჩირაღდნებით მორბენალთა ზღაპრული სანახაობით იქცევდა ყურადღებას. პანათენურ თამაშებს ჰქონდა ერთი უმთავრესი რამ, რითაც ყველა სხვა პანელინურ ზეიმებს ჩრდილავდა. ეს გახლდათ საწყლოსნო შეჯიბრებები, რომელსაც თვით ზღვათა მეუფისადმი მიძღვილი ისთმიური თამაშებიც კი მოისაკლისებდა. თუმცა, პანათენური თამაშები გამოირჩეოდა მეჩირაღდნეთა გრანდიოზული მსვლელობითაც, რომელიც აკროპოლისზე ათენის მფარველ ქალღმერთ ათენას ქანდაკებისკენ მიემართებოდა. სწორედ მას ეძღვნებოდა პანათენური თამაშები, რომელიც ყოველწლიურად ეწყობოდა, ხოლო ოთხ წელიწადში ერთხელ უფრო მასშტაბურად იმართებოდა და მას დიდ პანათენურ თამაშებად მოიხსენიებდნენ.

დღეს არავინ იცის, თუ ვინ და რატომ დააწესა პანათენური თამაშები. უცნობია ამ თამაშების მითიური დამფუძნებლის ვინაობაც და ისტორიული პირის სახელიც. ერთი მითის მიხედვით ეს გახლავთ ჰეფესტოსისა და გეას თუ ათენას შვილი ერეხთესი (იგივე ერიხთონიოსი), მეორე მითი კი თეზევსზე მიუთითებს. მკვლევართა აზრით ეს საქმე ერეხთევსს წამოუწყია, თეზევსს კი გაუგრძელებია, მაგრამ რას გვიამბობს ამგვარ თამაშობათა თვითმხილველი და დიდი მეისტორე პავსანია?

„ამ დღესასწაულს წინათ ერქვა ათენური, პანათენური კი თეზევსის ხანაში ეწოდა, რადგან იგი ერთ ქალაქად გაერთიანებულმა ყველა ათენელმა იზეიმა.“

ბევრი ანტიკური ხანის ავტორი იმასაც ფიქრობს, რომ თავად ქალაქსაც თეზევსმა დაანათლა სახელად ათენი.

ასეა თუ ისე, ეტყობა, მითიური ათენური თამაშები თეზევსამდე ტარდებოდა, მის ხანაში კი ანუ ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნეში, პანათენურად გარდაიქმნა.

რაც შეეხება ისტორიულ ფაქტებს, აქაც ბევრი რამ ბუნდოვანია. ყველა წყარო პანათენური თამაშების დასაწყისად, უფრო სწორედ აღდგენის თარიღად, ძველი წელთაღრიცხვით 566-ე წელს მიუთითებს. თუმცა, ბუნდოვანია ამ საქმის მებალავრის ვინაობა. ერთნი ასეთად მიიჩნევენ დიქტატორული ძალაუფლებით აღჭურვილ ათენელთა წინამძღოლს, დიდ რეფორმატორს და დემოკრატ სოლონს, მეორენი კი დემოკრატის მანერებით შეპყრობილ ტირან პისისტრატეს. მათ შორის პირველობის გვირგვინის მიკუთვნება მართლაც ძნელია, რადგან 566 წელს სოლონი უკვე 72 წლისა იყო და ხელისუფლებიდანაც წასული, დაახლოებით 32-ის პისისტრატეს კი სახელმწიფო გადატრიალებამდე და ხელისუფლების ხელში ჩაგდებამდე 5 წელიწადი აშორებდა.

მკვლევართ მთლად გზა-კვალს უბნევთ რომაელი მწერალ-სატირიკოსი ლუკიანე, რომელიც პანათენური თამაშების დაფუძნების თარიღამდე 22 წლით ადრე სოლონს ათქმევინებს: „ჩვენთან პანათენურ თამაშებზე გამარჯვებულთ წმინდა ზეთისხილის ზეთს ვაძლევთ.“

თუმცა ერთი რამ მაინც ნათელი და უეჭველია — პისისტრატემ ყოველწლიური ასპარეზობანი დიდ პანათენურ თამაშებად გარდაქმნა, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ, ოლიმპიადის მესამე წელს იმართებოდა.

მათი დაწყების დღესაც მამლები მთელ ათენს უთენია აღვიძებდნენ. იმ დღეს ისინი თითქოს განსაკუთრებულად ყიოდნენ, რადგან მამალი პანათენური თამაშების სიმბოლო იყო. ეს დღესასწაული ერთადერთი გახლდათ, რომელსაც თითლისმა გააჩნდა. ჰოდა, ათენელი მამები შვილებს მამლების ძიძგილაობაზე დაატარებდნენ, რაც ძალზე პოპულარული სანახაობა იყო. მამები შვილებს ასე თვალნათლივ უჩვენებდნენ, თუ ათლეტმა როგორი თავგამოდებით უნდა იბრძოლოს სპორტულ სარბიელზე, მეომარმა კი — ბრძოლის ველზე.

ორ მამალს ვხედავთ ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეში დამზადებულ სახელგანთქმულ პანათენურ ამფორაზე, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. კისერდაგრძელებული მამლები სარიტუალო ბოძზე შემომჯდარან. იქვეა ფეხშიშველა, განუყრელი საბრძოლო მუზარადით თავდამშვენებული ათენა, რომელსაც ერთ ხელში ასევე განუყრელი ფარი უპყრია, მეორით კი შუბი შეუმართავს.

სწორედ ამგვარად იყო ალკაზმულ-აღჭურვილი პართენონში აღმართული ათენას 12-მეტრიანი ქანდაკება, რომელსაც ნიკეც ამშვენებდა. იქვე, აკროპოლისიდან მთელ ქალაქსა და ზღვას გადასცქეროდა 25 მეტრი სიმაღლის ათენა პრომაქოსიც, რომელსაც ზღვაოსნები შუქურასავით ხედავდნენ. ათენელები ხუმრობდნენ, ფემისტოკლემ ათენას ხელში შუბის ნაცვლად ზღვათა მეუფის სანაოსნო ნიჩაბი დააკავებინა და ათენელებიც ზღვისკენ გაახედაო. სწორედ ამ ხალხის მიერ არჩეულ დიდ სტრატეგსა და მხედართმთავარ ფემისტოკლეს გაუმართლა ძალიან, როცა ათენთან ახლოს ვერცხლის საბადოს მიაკვლიეს. ფემისტოკლემ ხალხი დაარწმუნა, ამ ვერცხლით ფლოტი ავაშენოთ, რაც მეტ ვერცხლს მოგვიტანსო. ამ ვერცხლით მართლაც გააორმაგეს ფლოტი, რომელიც 200 ხომალდს ითვლიდა. ამ ფლოტმა ძველი წელთაღრიცხვით 480 წელს კუნძულ სალამინთან სასტიკად დაამარცხა სპარსელი ქსერქსეს ფლოტი, რის მერეც პანათენურ თამაშებზე ძალზე პოპულარული გახდა ტრიერებით რბოლა.

ეს ტარანით აღჭურვილი 36,5-დან 40-მეტრამდე სიგრძის სამხედრო ხომალდი, რომელსაც სწორკუთხოვანი აფრა ამშვენებდა, იმ დროისთვის საკვირველ სისწრაფეს, საათში 14 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებდა. მას ერთმანეთის უკან სამ რიგად მჯდომი 170 მენიჩბე მართავდა. ნიჩბებს ანდობდნენ მხოლოდ თავისუფალ მოქალაქეებს, რომლებიც მახვილსაც ისევე კარგად ფლობდნენ, როგორც ქვეითი გოპლიტები.

ამგვარად, ტრიერებით რბოლა ანტიკური ხანის ერთადერთ გუნდურ სახეობად წარმოგვიდგება და პანათენური თამაშები ამ მხრივაცაა გამორჩეული.

ტრიერების გარდა პანათენურ თამაშებზე იმართებოდა ეტლებით რბოლაც, მორბენალთა, მოჭიდავეთა, მოკრივეთა და პანკრატიონისტთა ასპარეზობებიც, მუსიკალური თუ სხვა კონკურსები, რაც ლამპადოდრომით, დაჯილდოების ტრადიციული ცერემონიალით და ნადიმით სრულდებოდა.

უცნაურია, მაგრამ ანტიკური ხანის ავტორები არაფერს იუწყებიან იმის შესახებ, თუ ძველი წელთაღრიცხვით 450 წლამდე სად ცდიდნენ ძალებს ათლეტები. ეს ვერც ჩვენი დროის მკვლევართ დაუდგენიათ, 450 წლიდან კი ისინი ასპარეზობდნენ ათენის პირველ ცნობილ სტადიონზე, რომელმაც დღემდე მოაღწია.

ეს სტადიონი აკროპოლისიდან ერთი კილომეტრის დაშორებით ათენელთა სათაყვანო მხედართმთავრის, მათი უმდიდრესი მოქალაქის ლიკურგეს ფულითა და ინიციატივით აიგო ისევე, როგორც აკროპოლისის ძირში ოდეონი, სადაც პანელინური თამაშების პროგრამით მუსიკოსთა, მომღერალთა და მოცეკვავეთა კონკურესები თუ თეატრალური წარმოდგენებიც იმართებოდა. აქ ლიკურგე არბიტრად თავადვე გამოდიოდა. ოღონდაც, დიდი აღმშენებლობით სახელგანთქმული, პლატონის მოწაფე ეს ლიკურგე ელადის სხვა ცნობილ ლიკურგეებში არ უნდა აგვერიოს.

როგორც ჭეშმარიტი ბრძენი, იგი ათლეტურ შეჯიბრებებსაც ეთაყვანებოდა. ამიტომაც მან მონდომება არ დაიშურა სტადიონის მშენებლობისთვის, რასაც ქალაქის ძველი კედლის მიღმა 330 თუ 329 წელს ჩაუყარეს საფუძველი და მან აგებისთანავე პანელინურ თამაშებს უმასპინძლა.

თითქმის 600 წლის მერე ოდეონიცა და სტადიონიც ბერძნული წარმომავლობის რომაელმა მეცენატმა, უმდიდრესმა კონსულმა გეროდ ატიკმა განაახლა. ისინი მარმარილოთი შემოსა და ისე დაამშვენა, პავსანიას 32 რიგიან და 5000 ადგილიან ოდეონზე ათქმევინა: „თავისი სიდიდით, თავისი მოპირკეთებითა და სრულყოფილი სტილით იგი ყველა სხვას აღემატება.“ 50 000 ადგილიანი სტადიონის ხილვისას კი, როგორც იტყვიან, ენა ჩავარდნია და ესლა ამოხდენია: „თვალით ნანახი აღწერას არ ექვემდებარება.“ ამ სტადიონს პანელინურ თამაშებზე ათლეტთა გამოსვლების გარდა ახსოვს გლადიატორთა სისხლისმღვრელი შეტაკებებიც, ნადირთა ბრძოლებიც, იავარქმნაც, აღდგენაც და თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშებიც, ერთი ასეთი რიგგარეშე ასპარეზობაც და ოლიმპიური თამაშების საუკუნოვანი თარიღისადმი მიძღვნილი ზეიმიც, რასაც სპორტული სანახაობაც ამშვენებდა.

ავთანდილ გურასაშვილი



ჩირაღდნებით რბენაში გამარჯვებული ათლეტი საკურთხევლთან. ანტიკური ლარნაკწერა

ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘ 2003



ᲨᲘᲑᲜ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲔ ᲙᲚᲓᲘᲡᲐᲜᲘ...

ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲘ ᲛᲓᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲣᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ

ტურ დე ფრანსის ველოქარავანმა სულ გასავლელი დისტანციის ზუსტად ნახევარი გაილია. მრბოლებჭმა პარიზიდან გამოსვლის შემდეგ გადაჭრეს ილ დე ფრანსი, შამპანის ველები და ზვრები, გადმოლახეს ალპების უღელტეხილები და თითქმის ორი ათასი კილომეტრის გამოვლის შემდეგ პროვანსში, ხმელთაშუა ზღვისპირეთში ჩამოაღწიეს. ალპიური გაპიდან ზღვისპირა მარსელამდე გაჭიმული მე-10 ეტაპით 20-ეტაპა ტურის ზუსტად ნახევარი გაილიეს

ამხელა გზის გავლის შემდეგ მრბოლებს ერთდღიანი დასვენება ებოძათ, 16 ივლისი ტურზე საყოველთაო დასვენების დღე იყო.

ალპების მთა-გორაკები ძნელი გადასალახია, თვით ველოს შეზრდილი ყველაზე მუხლმაგარი ბიჭებისთვისაც, ამიტომაც წესით და რიგით ყველას უნდა ესარგებლა კუთვნილი უქმე დღით და მზეს მიფიცხებოდა. თანაც, იქვე არაა ხმელთაშუა ზღვის სახელგანთქმული პლაჟები. მრბოლათა პელოტონიც მარილიანი წყლის სუნს და საკუთარ სურვილს მიჰყვა და პორტქალაქ მარსელის სიახლოვეს ზღვისპირა ქვიშებს მიაშურა, მაგრამ ზოგმა უქმი დღე ვარჯიშისთვის გამოიყენა და არც გვიკვირს, რომ მათ შორის გახლდათ ტურ დე ფრანსის ოთხგზის მომგები და მეხუთე, ანუ ამ ჯერზეც ველოქარავანის თავში მდგომი ამერიკელი ლენს არმსტრონგი.

ერთი რამ შევნიშნოთ, ლენს არმსტრონგის კენტად ნახვა ძვირად შეიძლება. ამერიკელი თუმც დღევანდელი ველომსოფლიოს ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავია — თუკი საერთოდ არსებობენ ვარსკვლავები ველოსპორტში — მაგრამ ის იმ გუნდის ნაწილია, რომელიც მას სამუშაოს უნახევრებს და ტურს ტურზე აგებინებს. არმსტრონგის გუნდი VS პოსტალი ალბათ ყველაზე შეკრული და ტაქტიკურად გამართულად მომუშავე გუნდია მთელს ტურზე. თუმცა ამ გუნდში ირიცხება კიდევ ერთი ველოვარსკვლავი, ესპანელი რობერტო ერასი — სადღეისოდ ის მერვეა საერთო ჩათვლაში — მაგრამ მთლიანობაში, რაკი ერასს თითქმის არა აქვს ტურის მოგების შანსი, ისიც და დანარჩენი შვიდი პოსტალელიც არმსტრონგისთვის მუშაობენ. ყველა ერთისთვის — ასეთია ამ გუნდის დევიზი და მუშაობის პრინციპი. პოსტალი ერთად დადის, გუნდის მუშა წევრები მაქსიმალურად იხარჯებიან და არმსტრონგს მთებამდე თითქმის დასვენებულს მიიყვანენ. შემდეგლა იწყება აღმართებზე შეტევა და წინ გაჭრა, რაშიც, რაც მართალი, მართალია, ამერიკელს სადღეისოდ ბადალი არა ჰყავს.

იმას ვამბობდით, პოსტალელები ყოველთვის ერთად დადიანო და რაკი არმსტრონგმა დასვენების დღეს ვარჯიში ინება, მთელი გუნდი ნებით თუ იძულებით ამხედრდა ბორბლებზე. მარსელის მიდამოებში პოსტალმა ორი საათი იარა და დაახლოებით 80 კილომეტრი უქმად გაიარა.

თუმც, რაღა თქმა უნდა, არც არმსტრონგი და არც მისიანები ისე არ დახარჯულან, დღევანდელ, 160-კილომეტრიან ეტაპს ძალაგამოცლილები შეხვდნენ. თავად არმსტრონგმა ცოლთან და სამ შვილთან მოსაფერებლადაც გამონახა დრო — ოჯახი მას მარსელში დახვდა.

„დასვენების დღეა, მაგრამ ლენსი მაინც ფოკუსირებულია და არ სურს, მოეშვას“ — ამბობს პოსტალის წარმომადგენელი იოგი მიულერი. არმსტრონგს მართლაც არა აქვს ბოლომდე მოშვებით ფუფუნების საშუალება, ის მხოლოდ 21 წამით უსწრებს უახლოეს მდევარს, ყაზახ ალექსანდრ ვინოკუროვს და წუთით თუ უსწრებს პირტიტველა ბასკ იბან მაიოს. ახლოში არიან ყურადღებისღირსი სხვა მეტოქეები ტაილერ ჰამილტონი და იან ულრიხიც.

„არმსტრონგი წინა წლებთან შედარებით ტურის ნახევრის ჩამთავრების შემდეგ გაცილებით წამგებიან პოზიციაშია. ალპებში მოპოვებული უპირატესობის პირინეის მთებში წართმევაც ახლა ყველაზე მეტადაა რეალური“ — ამბობს გერმანელი იან ულრიხი, ტურის 1997 წელს მომგები და მას შემდეგ არმსტრონგის ჩრდილში მოქცეული ნიჭიერი, თუმც ზარმაცი და უნებისყოფო მრბოლი. საინტერესოა, თავად აპირებს არმსტრონგისთვის უპირატესობის წართმევას თუ სხვებს ასწავლის? თუ თავად გადაუწყვეტია ამერიკელის ჰეგემონიის დამხობა და ეს ისევე უნიათოდ სცადა, როგორც წინა წლებში, პირობას ვდებთ, არაფერი გამოუვა.

ისე კი, ულრიხი საკმაოდ მონდომებული ჩანს, არმსტრონგისა არ იყოს, უქმე დღეს მანაც წაივარჯიშა.

შემდეგი ეტაპი ნაკლებმთიანია, ქარავანი ნარბონიდან ტულუზამდე 160 კილომეტრს ძირითადად ლანგედოკის ზვრებში გაივლის, ასე რომ, ნაკლებსავარაუდოა, არმსტრონგის თუმც მცირე, მაგრამ მაინც უპირატესობას სერიოზულად დაემუქროს ვინმე.

ᲙᲝᲢᲔ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ



ლენს არმსტრონგი

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) 45 სთ 46 წთ 22 წმ
2 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) + 21 წმ
3 იბან მაიო (ესპანეთი, ეუსკატელი) + 1 წთ 2 წმ
4 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, iBanesto.com) + 1 წთ 37 წმ
5 ტაილერ ჰამილტონი (აშშ, Team CSC) + 1 წთ 52 წმ
6 იან ულრიხი (გერმანია, ბიანკი) + 2წთ 10წმ
7 ივან ბასო (იტალია, ფასა ბორტოლო) + 2წთ 25წმ
8 რობერტო ერასი (ესპანეთი, US პოსტალი) + 2წთ 28წმ
9 აიმარ ზუბელდია (ესპანეთი, ეუსკატელი) + 3წთ 25წმ
10 დენის მენშოვი (რუსეთი, iBanesto.com) + 3წთ 45წმ

ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲩᲐᲐᲥᲜᲔᲕᲘᲜᲔᲡ

იტალიური ველოტურის ჯირო დიტალიას წლეულს მომგები იტალიელი ჯილბერტო სიმონი სამშობლოში გამარჯვების შემდეგ ბევრს ბაქიბუქობდა, ტურ დე ფრანსზე არმსტრონგს გავაწვალებო და იმის თავხედობაც ეყო, ექთვა, ჩემპიონობას ჩამოვართმევო. სიმონი ნიჭიერი ველომრბოლია და მომავალ ტურებზე იქნებ გაიბრწყინოს კიდეც, მაგრამ წლეულს მას არაფერი გამოუვა.

ტურის ნახევარი რომ გაილია, სიმონიმ აღმოაჩინა, რომ არმსტრონგს 52 წუთით ჩამორჩება და საერთო ჩათვლაში 69-ეა (+), მან იქნებ ნაადრევადაც შეწყვიტოს რბოლა. ეს კი მისთვის სრული კრახი იქნება, რაკი თავად გამოიწვია არმსტრონგი.

„ჯილბერტო სიმონიმ იქნებ ახლა მაინც შეიგნოს, რომ ტურ დე ფრანსი ჯირო არაა“ — თქვა ამ ორი დღის წინ არმსტრონგმა.

არმსტრონგი ესპანელ იოტორ გონსალესსაც გადასწვდა, რომელმაც შარშანდელი ესპანური ველორბოლა, ვუელტა მოიგო და, სიმონისა არ იყოს, ისიც არმსტრონგზე გაიქაჩა.

„იმედია სიმონისთან ერთად გონსალესიც მოხვდება, რომ ტური სულ სხვა რბოლაა. მათი დრო იქნებ დადგეს კიდეც საფრანგეთის გზებზე, მაგრამ ეს წლეულს არ მოხდება.“

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲕᲘ ᲑᲣᲓᲕᲐᲘᲖᲔᲠᲘ

ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲛᲐ ᲯᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲥᲐᲤᲐ

„უილიამსის“ საჯინიბო არც აქამდე იყო ჯაბანი და აწი ხომ სულ მთლად გაიმართება წელში. გუშინ საჯინიბოს მეპატრონე ფრენკ უილიამსმა „ბუდვაიზერის“ ჩამომსხმელებთან ხელი ხელს დაჰკრა და სპონსორად გაიხადა.

„ბუდვაიზერი“ გასინჯული თუ არა, გაგონილი უეჭველად გექნებათ, მთელ მსოფლიოში განთქმული ამერიკული ლუდია.

არც ფრენკ უილიამსმა და არც მელუდეებმა კონტრაქტის პირობები არ გაამხილეს, მაგრამ ფორმულა 1-ის საქმეებში ჩახედულმა ჟურნალისტებმა ივარაუდეს, ყოვლად წარმოუდგენელია, უილიამსი „ბუდვაიზერისგან“ 50 მილიონ გირვანქაზე ნაკლების აღებას დაყაბულებოდაო.

ერთი შეხედვით, სიგიჟეა, ბოლიდებზე და პილოტთა სამოსელზე ლოგოების განთავსების სანაცვლოდ 50 მილიონის გადახდა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ „ბუდვაიზერს“ არიფები ასხამენ და რეკლამისა არაფერი გაეგებათ.

დახეთ, რა ხდება: „უილიამსის“ პილოტები რალფ შუმახერი და ხუან პაბლო მონტოია არიან, გათვლა კი უფრო კოლუმბიელზე ხდება, რომელიც ლათინელ ამერიკელთა შორის ყველაზე პოპულარული პილოტია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ თუ მონტოია „ბუდვაიზერს“ გაუწევს რეკლამას, ეს ლუდი სამხრეთ ამერიკაში ყველაზე პოპულარულიც იქნება.

ბოლოს კი დავძინოთ, რომ „ბუდვაიზერი“ ნბა-ს, ბეისბოლის მეიჯორ ლიგას და „ნანასკარს“ სპონსორობს, ხოლო „უილიამსისთვის“ მესამე სპონსორი გახდა. უილიამსელებს მის გარდა, კომპიუტერული კომპანია „ჰოვარდ პაკარდი“ და გერმანული სადაზღვევო კომპანია „ალიანსი“ პატრონობენ.

ᲠᲝᲘ ᲯᲝᲜᲡᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲜ?

ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲛᲣᲨᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲮᲡᲔᲜᲔᲡ

კრივის მსოფლიო ასოციაციის ვერსიით მსოფლიოს მძიმეწონოსანი ჩემპიონი როი ჯონსი 8 ნოემბერს კენიაში დაიცავს ტიტულს. ჩხუბი დედაქალაქ ნაირობიდან 15 კილომეტრის დაშორებით, კასარანის „მოი ინტერნეშენალ სპორტს სენთერში“ გაიმართება 60 ათასი მოსეირის ყიჟინის თანხლებით.

პრომოუტერები ამბობენ, შავ კონტინენტზე ასეთი დიდი ჩხუბი 1974 წლის მერე არ ყოფილა, როცა კინშასაში კრივის დიადმა ლეგენდებმა, მუჰამედ ალიმ და ჯორჯ ფორმენმა დაუშინეს ერთმანეთს მუშტებიო.

მაგრამ, მოგეხსენებათ, მთავარი ის კი არ არის, სად დაიცავს რუისი ტიტულს, არამედ, ვისთან დაიცავს. ეს საკითხი ჯონსის ხალხს ჯერ არ გადაუწყვეტია, ეგებ ლენოქს ლუისიც იყოსო, თუმცა უფრო მოსალოდნელია, რომ მაიკ ტაისონს ეჩხუბებაო.

უპრიანია გავიხსენოთ, რომ როი ჯონსმა ასოციაციის ქამარი მარტში წაართვა ჯონ რუისს და კრივის ისტორიაში მეორე მოკრივე შეიქმნა, ქვემძიმე წონის ჩემპიონიც რომ ყოფილა და მძიმე წონისაც.

8 ნოემბრამდე ჯერ შორია, ჯონსი კი 21 ივლისს აპირებს კენიაში ჩასვლას და ბაქი ბუქს. აბა, როგორ, კრივი პრომოუშენის გარეშე ვის გაუგია.

ᲙᲝᲢᲔ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

ᲥᲐᲚᲬᲧᲐᲚᲛᲐᲜᲘᲐ

REUTERS ბარსელონიდან

კბილებში ჩადგმული დამცავი კაპები, შემოხეული კაბები და ბრძოლის წამები. ესე ყოველი ხდება ბარსელონაში წყალოსნობის მსოფლიო ჩემპიონატზე. წყალბურთი მძიმე სპორტია და ქალებიც თითქმის ამორძალებსა ჰგვანან. ცალმკერდმოშიშვლებული ავსტრალიელი ჯოდი სტამკი ბრიტი კერინ ჰელსის მარწუხებისგან თავის დახსნას ცდილობს. თუმცა, ორ გოგონებს ბრიტებთან პრობლემა არა აქვთ, 16:2-ს უგებენ. ასე გავოსნურად კი გამწკრივებულა ვენესუელელ სირინოზთა გუნდი, რომელიც რუსებს უნდა ებრძოლოს. ერთი, ორი, სამი... თავად დათვალეთ.

REUTERS დირბორნიდან

ᲛᲔᲯᲘᲥᲘ ᲛᲔᲝᲒᲚᲘᲣᲠ ᲐᲘᲬᲐᲖᲔ

მეჯიქ ჯონსონი მიჩიგანის შტატის ქალაქ დირბორნს ჩასულა და დაუნანებლად ურიგებს ავტოგრაფებს პატარა ბიჭებს. დიდ კალათბურთელს სარეკლამო კონტრაქტი გაუფორმებია „ლინკოლნთან“ და დირბორნშიც ამიტომ ჩამოსულა. ისე კი, მეჯიქი წარმოშობით მიჩიგანელია, ლენსინგში დაბადებულა და მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდშიაც უთამაშია, ვისთან ერთადაც სტუდენტების ჩემპიონიც გამხდარა 1979 წელს.

ᲡᲐᲜ ᲤᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ

პამპლონაში, ცხადია, ამბავია. გახურებულა სან ფერმინი, საკორიდე სეზონის გახსნა, როცა ექვს ხარს ქალაქის ქუჩებში გამორეკავენ და წინ კი ჩაუქი ბიჭები მიურბიან საკორიდე არენისკენ მიმქროლავ ხარებს. ეს ამბავი სწორედ რბოლის, ე.წ. ესტაფეტის ქუჩაზე ხდება და რაცა ხდება, ვხედავთ. მოსეირნენი კი ტიხრებში მიჭეჭყილან.



REUTERS პამპლონიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge